საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დალი დავითაძე

ეროვნული თვითშეგნების გააზრება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე - ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საქართველოს პოეზიის მეფისა და მეტრის, გალაკტიონ ტაბიძის, ლირიკულ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში, მასთან ზიარება დიდი პატივია, სრულყოფილი აღქმა - ურთულესი პროცესი, ანალიზი კი - უდიდესი პასუხისმგებლობა. ამ დიდი შემოქმედის ჭეშმარიტად ქართული, ეროვნული პოეზია გამოირჩევა ერის ჭირ-ვარამის შეგნებითა, ღრმა იდეურობით, ეროვნული ლექსის ტრადიციებისადმი ერთგულებით, ხალხური ზეპირსიტყვიერების პოეტური საგანძურის ორიგინალური გამოყენებით. წინაამდებარე ნაშრომში ყურადღება სწორედ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში თავჩენილ ეროვნული თვითშეგნების გამომხატველ ლირიკულ მემკვიდრეობაზეა გამახვილებული და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომპატრიოტიზმი შემოქმედისთვის მხოლოდ სალექსო თემა როდია. ეს ის გრძნობადი ნიადაგია, რომელის გათვალისწინებითაც გაიაზრება მთელი მისი პოეზია. სწორედ ამ მოსაზრების შეძლებისდაგვარ დასაბუთებას წარმოადგენს ჩვენი სამაგისტრო ნაშრომიც.

Annotation

The lyric inheritance of King and Meters of Georgian Poetry Galaktion Tabidze holds a honorable place in Georgian Literature. To share with his poetry is a pleasure, but the hardest process is to perceive and understand it. To analyze it is also a big responsibility.

This biggest creator's truly Georgian national poetry sorts out with the deep understanding of anguish and pain of Georgian nation, creativity and adherence of the national poem and the original use of folkloric treasure. The present work outlines the lyric inheritance of the national self-awareness. It also emphasizes that for the creator the patriotism is not just a poetry topic. This is a very sensitive ground which helps us to understand his poetry. Our master's work tries to demonstrate it.

With his incredibly romantic poems Galaktion created his own, unique world of poetry, delivering the beauty of Georgian Language and elasticity of words. His lyrical inheritance takes an honorable place, to receive his lyrics is a great honor, improved perception is the most difficult process and to analyses is a great responsibility.

Galaktion Tabidze is a great creator, whose poems are full of affection of Georgian national, their misfortune and devotion of traditions. He empathizes with Georgian fold and shows his patriotism. In this work it is shown that patriotism is not used only in his poems, bit patriotism is in poet' heart. Sense of patriotism is the valuable thing for the creator and in our master's work. It is presenter as far as possible.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 5

I საკითხის კვლევის ისტორიისათვის ---------- 7

II ეროვნული თემატიკის გენეზისის პრობლემა ქართულ პოეზიაში ----------26

III სამშობლოს სიყვარულის პოეტური გარდასახვა გ. ტაბიძის ლირიკაში ---------37

IV ისტორიული წარსულის პოეტური ხატება გ. ტაბიძის ლირიკაში ---------- 54

V გალაკტიონის პატრიოტული ლირიკა და ფოლკლორი----------67

ძირითადი დასკვნები ----------76

გამოყენებული ლიტარატურა ----------80

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თხუთმეტი საუკუნეა მოდის ქართული პოეტური სულის დიდი მდინარება, გაუჭრია ღრმა და ფართო კალაპოტი, მოაქვს ჩვენი ხალხის სატკივარი და სათქმელი. ქართულმა პოეზიამ ზოგადკაცობრიულთან ერთად თავისი თემებიც დაამკვიდრა, საკუთარი მსოფლგანცდა, თავისი არსის ფილოსოფია. იგი ესაზღვრებოდა მსოფლიო პოეზიის დიდ სამყაროებს, განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ჩნდებოდა საერთო მოტივები, საერთო მიმდინარეობანი. ქართული პოეზია იღებდა და გასცემდა, ითვისებდა და ისისხლხორცებდა შორეულ დინებებს. მისი ჰორიზონტი თავის შიგნით იქცევდა უზარმაზარ სივრცეებს, მარადიულ ფენომენებად ჩამოყალიბებულ თემებს, სათქმელს, განწყობილებებს, ხერხებსა და საშუალებებს.

განსხვავებული ბგერწერით, გრძნობათა სიმდიდრით, შემოქმედებითი გულწრფელობითა და განცდის სიღრმით გამორჩეული ადგილი ქართულ პოეტურ სივრცეში „პოეზიის მეფედ“ წოდებულ გალაკტიონ ტაბიძეს უჭირავს. მისი ლირიკული მემკვიდრეობა მუდამ იყო და არის ფართო მასის „მღელვარე თვალყურის“ საგანი. გალაკტიონი თავისებური ხმით შემოვიდა ქართულ პოეზიაში. საქართველოს ბედზე წუხილისა და დარდის, საქართველოს მდგომარეობაზე ფიქრისა და განსჯის სათუთი ქსოვილიდან წამოიმართა მისი უკვდავი ლირიკული მემკვიდრეობა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქართულმა ლექსმა საოცარი სინატიფე და ჰაეროვნება შეიძინა. ის იყო უტყუარი, აბსოლუტური სმენის პოეტი. მის მუსიკალურ გენიას ყოველივე - გარეშე თუ შინაგანი, ნამდვილად ხილული თუ ოცნების თვალით

წარმოდგენილი - პოეტური მელოდიების ენაზე გადაჰქონდა. პოეტის ლირიკის არაერთი სალექსო საზომი თუ რიტმულ-მუსიკალური მელოდია ორგანულადაა შესისლხორცებული ხალხური პოეზიის ძირებთან. ეს რომ აშკარად გაცნობიერებული და მიზანსწრაფული მოვლენა იყო, ნათლად დასტურდება იმ ტიპოლოგიური მსგავსებით, გალაკტიონის ლირიკასა და ხალხური პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს შორის რომ შეინიშნება აშკარა სიცხადით.

„როგორც ღია სარკმელში მოულოდნელად შემოჭრილი გაზაფხულის დღე ათასნაირი სურნელებით ავსებს ოთახს, ისე აავსო გალაკტიონის ლექსმა ჩვენი სული ჯერარსმენილი მოტივებით, რითმებით, ინტონაციებით, კეთილხმოვნების სასწაულებით. გალაკტიონის შემოქმედებაში იღებს სათავეს უდიდესი წილი ყოველივე იმ ახლისა, რაც ჩვენი დროის პოეზიაში აღმოცენდა და დამკვიდრდა და რაც მისი კანონიერი სიამაყის საგანს წარმოადგენს“ (ასათიანი, 1983:113).

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას შემფასებელი და დამფასებელი უხვად ყავს, სალიტერატურო კრიტიკა ჯერ კიდევ ვალშია მისი პოეზიის წინაშე. განსაკუთრებით ზედაპირულადაა შესწავლილი მისი ლირიკული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც ეროვნული თვითშეგნების პოეტური გარდასახვის საინტერესო ნიმუშს ქმნის. სწორედ ამიტომ ჩვენი სამაგისტრო **ნაშრომის მიზნად** ამ ვაკუუმის ამოვსება დავისახეთ. თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.**

თემის აქტუალობა: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის აქტუალობას განსხვავებული ხელწერა და მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის სრულყოფის საქმეში შეტანილი უდიდესი წვლილი განსაზღვრავს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით და პოეტის ეროვნული თვითშეგნებისა და შემოქმედებითი ხელწერის თავისებურებათა წარმოჩენით.

თავი I

საკითხის კვლევის ისტორიისათვის

“ თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა: – როგორ დავბადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედურიც,
რა დავაწყევლოთ, ან ისეთი რა დავანათლოთ,
ათასჯერ ბედის თქვას მადლობაც და საყვედურიც.
პირველად თეთრმა ანგელოსმა წარსდგა ნაბიჯი:
დავბადოთ კაცი მდიდარიო, მაგრამ მახინჯი.
წითელმა: ის სჯობს, ყრმა ოცნებებს ნუღარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს, მაგრამ უღარიბესიც.
ბოლოს კი შავი ანგელოსი წამოიმართა
და შავი სიტყვა განუცხადა ცათა ბინადართ:
სასჯელი გინდათ? მაშინ დიდი კაცი დავბადოთ,
სახელ-დიდებით შესწვდებოდეს ცათა კაბადონს,
ოღონდ დავბადოთ სულთა მედროშედ,
დავბადოთ მგოსნად
და უთუოდ –

საქართველოში…

იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა წყნარად რიონი,

თურმე იმ ღამეს დაიბადა გალაკტიონი”.

(ნიშნიანიძე, „ლეგენდა“, 1984:408).

ყოველი დროისა და ეპოქის ყველაზე დიდი ქართველი ლირიკოსი გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წლის 17 (ძვ. სტილით 5) ნოემბერს ვანის რაიონ სოფელ ჭყვიშში. პოეტის წინაპრები - გიორგი ტაბიძე და მისი ძმები აქ 1804 წელს დასახლებულან. როგორც იმერეთის მეფის - სოლომონ მეორის მიერ 1803 წელს გაცემული „წყალობის წიგნით“ ირკვევა, ჭყვიშში ისინი ხონიდან გადასახლებულან მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გალაკტიონის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩემი წინაპრები - მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული მე-14 საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური შეუცვლელობით უერთგულესი მღვდელთმსახურება. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, მე-17 საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნსაცავის მოსაწესრიგებლად. დედოფალ ანნასთან ერთად მიემგზავრება შემდეგში იგი მოსკოვში და იქ მონაწილეობას იღებს ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების, შერვაშიძეთა გვარიდან - ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზების, გურულისა და იმერლის“.

პოეტის მამა - ვასილი 1891 წელს, გალაკტიონის დაბადებამდე 8 თვით ადრე გარდაიცვალა. 1892 წელს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა: „სიკვდილმა გამოაცალა ამ სოფელს ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ვ.ტაბიძე. განსვენებული იყო ადგილობრივი მღვდლის შვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსშესრულებული. ამას ჰქონდა ამ სოფელში თავისი ხარჯით გამართული სკოლა და დიდი გულმოდგინებით ეწეოდა მასწავლებლის უღელს... მისი მოღვაწეობა სამასწავლებლო ასპარეზზედ ყოვლად უანგარო იყო... ის იყო აღვსილი მხოლოდ ერთის აზრით: თავისი წვლილი შეეტანა გლეხ-კაცის განათლების საქმეში“.

დედა - მაკრინე ადეიშვილი მეზობელი სოფლის - საპაიჭაოს (ყუმურის) მკვიდრი, კარგი მეოჯახე და შვილებზე გადამკვდარი დედა იყო. ნაადრევად დაქვრივებულმა მაკრინემ ღირსეულად უწინამძღვრა შვილებს და კეთილსინდისიერად მოიხადა თავისი დედური ვალი. გალაკტიონის სწავლა აღზრდის საქმეში დიდი როლი დედასთან ერთან შეასრულა გალაკტიონის ძმამ - აბესალომმა (პროკლემ).

1899 წელს გალაკტიონი დედამ ქუთაისში ჩაიყვანა და სასწავლებლად დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გახსნილ კერძო ერთკლასიან მოსამზადებელ სკოლაში მიაბარა. 1900 წელს იგი აქვე სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა. აქ პოეტი 1908 წლამდე სწავლობდა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ბიოგრაფია 1908 წლიდან იწყება „ჩვენს კვალსა“ და „ამირანში“ გამოქვეყნებული პირველი ლექსებით: „შავი ღრუბელი“ და „მთვარე კაშკაშებს“. ეს დღე პოეტს თავისი ცხოვრების „ყველაზე უკეთეს და ბედნიერ დღედ“ მიაჩნდა. იგი თითქოს „ვიწრო და ბნელი საკნიდან თავისუფალ ასპარეზზე ამოვიდა და ყველგან, სადაც თვალი გასწვდებოდა, იყო მზე, მოძრაობა და სინათლე“.

ამ დროიდან, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა. ამის დადასტურებაა ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლები იჩენენ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის ადრინდელი ლექსების ერთი ნაწილი მოკლებული იყო პოეტურ სრულყოფას და მე- 19 საუკუნის ლიტერატურულ ტრადიციათა აშკარა ზეგავლენასაც განიცდიდა, მხატვრული წარმოსახვის ოსტატობითა და თვისებრივი ბუნებით ისინი მაინც მკაფიოდ ჩანდნენ იმჟამინდელი ლიტერატურული პროცესის ფონზე.

1908 წელს, სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, გალაკტიონ ტაბიძემ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, სადაც კიდევ უფრო გამოიკვეთა მისი პოეტური ინტერესები. ამ დროიდან მოყოლებული მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება პრესაში.

1908 წელს გალაკტიონი იწყებს ხელნაწერი ჟურნალის- „შუქის“ გამოშვებას. ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილ სემინარელთაგან უნდა დავასახელოთ დემონის

ფსევდონიმით ცნობილი ნიჭიერი ახალგაზდრა მწერალი ქუჩუ ქავთარაძე, რომელმაც 1910 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გალაკტიონი შეძრა უახლოესი მეგობრის თვითმკვლელობის ამბავმა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა საბოლოოდ მიატოვა სემინარია.

მიუხედავად იმ დიდი შემოქმედებითი წარმატებისა, რაც გალაკტიონ ტაბიძემ სემინარიაში სწავლისას მოიპოვა, იმდროინდელი მისი ცხოვრება სავსეა მძაფრი შინაგანი წინააღმდეგობებით და სირთულეებით. უმეგობრობითა და მარტოობით შეწუხებული პოეტი სულიერი ობლობის მტანჯველი გრძნობითაა შეპყრობილი. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ იმდროინდელი მისი ლექსების მთავარ თემად სწორედ ამ ტკივილის გამოხატვაა ქცეული.

სულიერი ობლობისა და ცხოვრების ამაოების ტრაგიკული განცდა გალაკტიონის ადრინდელ ლექსებშივე ფილოსოფიური თვალთახედვითაა გააზრებული. მათში მძაფრად იგრძნობა ლიტერატურულ ტრადიციათა, უპირველეს ყოვლისა კი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის გამოძახილი. ყოველივე ამას პირად ცხოვრებაში თავჩენილი წინააღმდეგობებიც ემატება, რამაც საბოლოოდ გატეხა პოეტი და 1909 წელს თვითმკვლელობის მიზნით თავი მოიწამლა, მაგრამ საბედნიეროდ, დროზე მიუსწრეს და გადაარჩინეს.

თვითმკვლელობის ეს მცდელობა, სამწუხაროდ, სულაც არ იყო შემთხვევითი მოვლენა და ამგვარი ცდები მომავალშიც არაერთხელ განმეორდა, რაც საბოლოოდ ტრაგიკული შედეგით დაგვირგვინდა.

1910 წელს გალაკტიონ ტაბიძემ სემინარიაში სწავლას თავი მიანება, მეგობრის - ქუჩუ ქავთარაძის - გარდაცვალების გამო და ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალის სამრევლო სკოლის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. აქ იგი 1911 წლის ივნისამდე რჩება. 1911 წლის ივნისში გალაკტიონ ტაბიძე საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა, სადაც ხანმოკლე დროის განმავლობაში აქ გამომავალი გაზეთების - „კოლხიდის“, „მნათობისა“ და „თანამედროვე აზრის“ რედაქციებში მუშაობდა. ქუთაისში დამკვიდრებული პოეტი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება პრესაში. ლიტერატურული საზოგადოება

აღაფრთოვანა გალაკტიონის შემოქმედებამ, რისი დასტურიცაა ის შეფასებები, რომელთაც მის ლექსებს აძლევენ: ა. წერეთელი, კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გომართელი, ტ. ტაბიძე და სხვა.

1912 წელს გ. ტაბიძემ მონაწილეობა მიიღო გაზეთ „თემის“ ლიტერატურულ კონკურსში, სადაც მისმა ლექსმა - „უხილავი“ მესამე პრემია დაიმსახურა; 1914 წელს, დიდი მცდელობის შემდეგ გამოდის გალაკტიონის ლექსების პირველი წიგნი, 1919 წელს კი მეორე პოეტური კრებული - „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“.

1918 წელს გალაკტიონ ტაბიძემ დაამთავრა მოსკოვის სცენისმოყვარეთა ექვსთვიანი სარეჟისორო კურსები. ამავე წლის ზაფხულში იგი სამშობლოში ბრუნდება.

1922 წელს გალაკტიონი აქტიურად მუშაობს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში. გალაკტიონის რედაქტორობით გამოდის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ლიტერატურული ჟურნალი „ლომისი“;

1922-23 წლებში გალაკტიონმა დაარსა საკუთარი ლიტერატურული ორგანო- „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელიც ოციანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდული გამოცემაა; 1925 წელს „მნათობის“ მეათე ნომერში იბეჭდება გალაკტიონის ასი ლექსი; 1927 წელს გამოდის გამოცემა „გალაკტიონი“, რომელშიც მოთავსებულია წერილები და ლექსები გალაკტიონის შესახებ. პოეტი სცემს ლექსების დიდ კრებულს; ქალაქ სოხუმში იმართება პოეტისათვის მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო, სადაც მას მიართმევენ ლირას წარწერით: „გალაკტიონს- პოეტების მეფეს“;

1927 წელს, როგორც ცნობილია, ქართველ მწერალთა ერთმა ნაწილმა ჩამოაყალიბა ახალი ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონის“ სახელწოდებით. „არიფიონელთა“ საპროგრამო მანიფესტს სხვებთან ერთად გალაკტიონიც აწერდა ხელს. მანამდე იგი აკადემიურ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელთა შორისაც მოიხსენიება. მაგრამ, ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც, პოეტი ამ ლიტერატურულ ასოციაციათა წევრად მხოლოდ ფორმალურად თუ ჩაითვლება, ვინაიდან მათს საქმიანობაში აქტიური პრაქტიკული მონაწილეობა არასოდეს მიუღია.

1937 წლის შემდეგ სმას უმატა. ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნია. „იტყვიან - გალაკტიონი ზომაზე მეტად ბევრს სვამდაო. მისი ცხოვრების ზერელე მცოდნეც კი დამიდასტურებს, რომ გადაჭარბების გარეშე, პოეტის თავზე ნამდვილი დოლაბი ბრუნავდა. უფაქიზესი სულის პატრონს პრაქტიკულ ცხოვრებაში სრულიად უსუსურ, თავგზააბნეულ არსებას, ჩვენი მაშინდელი უსასტიკესი ყოფის სისხლშერეული, მღვრიე, პაწია ტალღაც კი დაუნდობლად ახეთქებდა სხვისთვის თითქმის არარსებულ აისბერგს. პოეტის გამძაფრებული, რეალობიდან აყოლილი წარმოსახვები, თავზარდამცემი, კოშმარული სიზმრების ფრაგმენტებად ილანდებოდნენ და შეუყოვნებლად მიექანებოდნენ 1959 წლის 17 მარტისკენ“ (აბულაშვილი, 2009:91).

თავისი ყოფის საშინელება შემაძრწუნებლად გადმოსცა ლექსით:

„შენ არ გინახავს კაცის ღიმილი,
შურმა და მტრობამ ისე მიგინდო,
შენი ცხოვრება და სიმძიმილი,
არის ეს ქუჩა და სამიკითნო.
შენი ცხოვრება არის ეს ძაღლი,
რომელიც კვდება ცივი, ბებერი,
მისთვის არ არის ამქვეყნად სახლი.
არც კარებია, შესაღებელი.
შენი ცხოვრება არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი ყოფნის კარამდის.
სადაც სიკვდილი და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად მიდის მარადის
შენი ცხოვრება, ვით შემოდგომა,
არასდროს აღარ დაიზამთრება.
აცივდა და შენს გარშემო დგომა
ეხლა არავის არ ენატრება.
შენი ცხოვრება ღონემიხდილი
არის ტალახი, ბოსელი, ქართა.

რისთვის გაშინებს, მითხარ, სიკვდილი,
თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა?
ვიცი, თუ როგორ გადიხარხარებს,
როცა გაიგებს სიკვდილი ხველას,
შენი ცხოვრება არვის ახარებს,
შენი სიკვდილი ახარებს ყველას.
ეს აზრი უნდა გავიგოთ ესე.
რომ მხეცი არ თმობს თავის ხელობას
და გალაკტიონ ტაბიძეს ურჩევს
წერტილს ტყვიისას.
რას?
თვითმკვლელობას“.

(ტაბიძე, 1982:377)

ლიტერატურული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი იმ რომანტიკული სიყვარულის ამბავი, რითაც გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი 1912 წლიდან დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ამ დროიდან მოყოლებული სიკვდილამდე წმინდად და სათუთად უყვარდათ ერთმანეთი. მათი რომანტიკული სიყვარული დიდი ემოციური შთამბეჭდაობით შემოგვინახეს მათმა პირადმა წერილებმა და დღიურებმა. ამ სიყვარულის გამოძახილი მძლავრად ისმის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც. ბევრი მისი ლექსი, რომელიც სიყვარულის ამაღელვებელი გრძნობითაა შთაგონებული, სწორედ ოლია ოკუჯავასადმი ტრფობის გამოძახილია.

ამ სიყვარულს ტრაგიკულ სიმძაფრეს სძენდა ის მძიმე ეპოქალური ხვედრი, რაც ბედმა არგუნა ოლიას. რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, რევოლუციისა და ახალი დროების სამსახურში ფანატიკური ერთგულებით ჩამდგარი ოკუჯავების ოჯახი ქვეყანაში დატრიალებული რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ამ ოჯახის ბევრმა წევრმა ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე, მათ შორის ოლიამაც, რომელიც

პირველად 1929-32 წლებში იყო გადასახლებული შუა აზიაში, მეორედ კი 1937-43 წლებში და ვლადიმირის საპატიმროში დაასრულა ცხოვრება.

მეუღლის ასეთმა ტრაგიკულმა ბედმა (ისინი 1916 წელს დაქორწინდნენ) სულიერად შეძრა პოეტი, რაც მძაფრად გამოვლინდა მის შემოქმედებაში. ოლიას გადასახლებით პოეტისათვის თავსდატეხილი ტრაგედიის შესაცნობად ლექსი- „უკანასკნელი მატარებელი“ საუკეთესო მაგალითია, რომელიც ბედისწერის უსამართლო განაჩენით სასოწარკვეთილი კაცის სულის გმინვას გამოხატავს:

ცხოვრების ეტლის სადარებელი საცაა გავა მატარებელი,
მიემგზავრება იმედი ჩემი, ბედის ვარსკვლავის სადარებელი.
...მატარებელი თვლემს როგორც ლავა, მატარებელი ხუთ წუთში გავა,
ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა, მატარებელი ხუთ წუთში გავა.
აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები, მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოთ, სამარადისოდ გემშვიდობები!

(ტაბიძე, 1971:101).

ამ სისხლიანი დღეების მღელვარებათა გამოძახილია ღვთისმშობლისადმი ლოცვად აღვლენილი გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული ლექსი „მზეო თიბათვისა“, იგი პოეტურ ფორმაში მოქცეული სათხოვარია „უნდობარი დროისა“ და „მძაფრი ქარტეხილისგან“ საყვარელი ადამიანის მფარველობისა:

„ მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე- ამას გევედრები.
ტანჯვა- განსაცდელში თვალნი მიურიდნე.
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,

მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,

მზეო თიბათვისა, ამას გევედრები“.

(ტაბიძე, „მზეო თიბათვისა“, 1971:107)

ასე გამოეთხოვა 1937 წელს გალაკტიონი თავისი ცხოვრების უერთგულეს მეგობარს და მასთან დაშორებით გულში დატოვებული მოუშუშებელი იარა სიცოცხლის ბოლომდე ატარა წმინდად და სათუთად.

1944 წელს გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

1959 წელს პოეტმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. აკი თავად ამბობდა, „სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება“. პოეზიის მეფე დასაფლავებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. ეს ტრაგიკული მომენტი მხატვრულად ასახა თავის ლექსში „ყვავილების მდინარე“ პოეტმა მურმან ლებანიძემ:

„ ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:

იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა.

აღმართ- აღმართ მდინარე მთაწმინდისკენ დიოდა:

იწვა გალაკტიონი - მოხუცს ბეჭი სტკიოდა.

ალბათ, შუბლიც სტკიოდა - მაინც, მეფურ იერით,

იწვა მკერდბუმბერაზი, ხნიერი და ძლიერი.

რაღაც პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:

იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა.

ეს სიკვდილი, ეს დაფნა, ეს მზე ოქროცურვილი -

იყო ეს ყველაფერი მხოლოდ მისი სურვილით.

დირიჟორი თვით იყო! რაც მოხდა და გათავდა

და რაც ახლა ხდებოდა, - მისი ჟინი მართავდა...

ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა,

იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა.

ერთი- ორი სხვაც ჰყავდა, ვინც მშობლისთვის იბრძოდა,

მაგრამ ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა !“

(ლებანიძე, 1991:88)

„არიან ადამიანები, რომელთაც სულ პატარა მიზნის მისაღწევადაც კი გრძელი გზის გავლა უწევთ. ზოგს ადვილად გამოსდის, ზოგნი კი მხოლოდ ტანჯვით, მხოლოდ ნერვების წყვეტით მიიწევენ წინ ნაბიჯ-ნაბიჯ. გალაკტიონის ცხოვრება კი სწორედ ასე აეწყო. ერთადერთი, რაც მისთვის ყველაზე უხვად გამოიმეტა განგებამ, ნიჭი იყო, ნიჭი და სულიერი სიწმინდე. პარადოქსია, მაგრამ პირველიცა და მეორეც იმ სახელმწიფოში, რომელშიც გალაკტიონმა გაატარა თავისი შეგნებული ცხოვრება, ხელისშემშლელი პირობა იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი არსებობისათვის“ (მიშველაძე, 1998:316). ასე ნაწვალები წავიდა ჩვენგან პოეზიის მეფე, თუმცა მისი გარდაცვალება ახალი ლეგენდის დაბადებას გავდა. აკი თავად ამბობს:

„ მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.
მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.
მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.
მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს -
შენ უკვდავების ხარ ბინადარი“.

(ტაბიძე, 1971:186).

გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში უკვე გამოიკვეთა ის მოქალაქეობრივი იდეალი, რომლის ერთგული პოეტი სიცოცხლის ბოლო დღემდე დარჩა. ეს ყველაფერი კი ამძაფრებდა მარტოსულობის შეგრძნებას. ლირიკული გმირის სულიერი ობლობისა და მარტოობის გალაკტიონისეული გამოხატვა განსაკუთრებულ მასშტაბებს „მე და ღამეში“ იძენს. ამ თვალსაზრისით, წინამორბედ პოეტთაგან ყველაზე მეტ სულიერ სიახლოვეს გალაკტიონ ტაბიძე ნიკოლოზ ბარათაშვილთან ავლენს. გალაკტიონის ადრინდელ პოეზიაში თითქმის ხელმეორედაა განცდილი ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც ბარათაშვილის ლირიკის უმთავრესი განსჯის საგნადაა ქცეული.

გალაკტიონ ტაბიძის პირველსავე ლირიკულ რვეულს ემჩნევა უკმარობის გრძნობა, ისევე, როგორც თითქმის ერთი საუკუნით ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს არ შეეძლო უცხოდ არ ეგრძნო თავი ჩაგვრის, უსამართლობის, მერკანტილიზმის კანონებით წარმართულ საზოგადოებაში. არაა გასაკვირი, რომ იგი ბევრ ადრეულ ლექსში ეხმიანებოდა თავის დიდ წინაპარს: „თავგანწირულად მინდორ ველად მიმაფრენს ცხენი“ - იწყებს გალაკტიონი თავის „მგზავრის სიმღერას“ (დაწერილია 1914 წლამდე), რომელშიც სწორედ ბარათაშვილისეულ ტრადიციას ავითარებს და „არე-მიდამოს ღვთაებრივ სიმშვიდეს“ შემოქმედის მეამბოხე სულს უპირისპირებს:

„ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე
ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო
და სანეტარო.
დაჰქროლე, ქარო... მე არ მიყვარს
ეგ მყუდროება,
მე ქარიშხალთან შებმა მინდა,
დაჰქროლე, ქარო!“

(ტაბიძე, 1966:193)

თუმცა გალაკტიონი შინაგანად არასდროს შერიგებია უსასოო, დამარცხებული ადამიანის კონცეფციას. ამიტომაა, რომ მისი პოეზიის წიაღში წარმოშობილი სულიერი

შემართება კვლავ „მერანის“ ავტორს მოგვაგონებს. არც „ლურჯა ცხენების“ მხედარს შეუძლია იყოს უსიტყვო, დაბეჩავებული მასის ერთი ნაწილაკთაგანი, უუფლებობით დაღდასმული მონა. გულისტკივილითა და სიმწრით წარმოთქვამს პოეტი:

„მომბეზრდა ყოფნა..... სულს შეეთვისა
აზრი: დაფარვა ქარიშხლის ფიფქით,
ვით ყრუ ძახილი უკვდავებისა:
დროთ საზღვარს იქით!
დროთ საზღვარს იქით!“

(ტაბიძე, „შემოდგომა“,1966:104).

გალაკტიონის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ათიანი წლების ლირიკაში სულიერი ობლობის გრძნობას სხვა ფაქტორებიც განაპირობებდნენ: ლიტერატურულ ტრადიციათა თავისებური ზეგავლენა და გამოძახილი, ქვეყნად დამკვიდრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, თავად პოეტის პიროვნულ-ფსიქოლოგიური ბუნება და ადამიანებთან მისი დამოკიდებულების შინაგანად რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი.

თუკი ბედისადმი საყვედური დასცდებოდა, თუკი ტანჯულად წარმოისახავდა თავს, ეს საყვედურიც და ეს ტკივილიც ისევ სამშობლოსა და პოეზიის სამსხვერპლოზე მიჰქონდა:

„არის ცხოვრების უსამართლობა
შენთან მოსული მწარე ფიალით,
ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს
და შუბლი ელავს სისხლის სიალით.
ნუ დაუმალავ ხალხს ამ იარას,
დადექ იქ სადაც შუქი ინთება:
ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი
და მშვენიერი მზე გაბრწყინდება“.

(ტაბიძე,1966: 38).

გალაკტიონს, ბუნებით სიტყვაძუნწს, პოეზიაში გაჩუმება ვერ წარმოედგინა; გამოსავალს ეძებდა სულში დაგუბებული ლექსების ნიაღვარი. რა უნდა დაეპირისპირებინა პოეტს მცონარე არსებობისავის, თუ არ თავისი მშფოთვარე ცხოვრება:

„გულო ჩემო მღელვარევ,
სულო ჩემო მყივარო -
ერთი დღეც არ გქონიათ
მშვიდი, უსატკივარო“.

(ტაბიძე,1966:18).

აქვე უნდა აღინიშნოს ის გენეტიკური, მემკვიდრეობითი, შინაგანი კავშირი, რომელიც აკაკი წერეთლისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას შორის არსებობს. წინამორბედ პოეტთაგან გალაკტიონის პოეზია რიტმულ-მელოდიური თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ალბათ აკაკის შემოქმედებას უნდა დავუკავშიროთ. ეს კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდა 40-50-იან წლებში.

საინტერესოდ შენიშნავს ვახტანგ ჯავახაძე გალაკტიონზე საუბრისას: „იგი მთელი საქართველოს რჩეული ნაცნობი იყო და ყოველი თბილისელის განუყრელი თანამგზავრი. ყოველთვის ჩვენთან იყო, ჩვენს გვერდით, როგორც რუსთაველის ძეგლი და გამზირი, როგორც მტკვარი, როგორც მთაწმინდა.

„მეც თბილისის ქუჩებიდან ვიცნობდი. ბევრჯერ შევხვედრილვარ და ავდევნებივარ. როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხის წვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქეთ...

ერთ მშვენიერ დღეს იმ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა. და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა“... (ჯავახაძე, 1988:7).

მისივე მონათხრობით, გალაკტიონი „წერდა ყველაფერზე, რაც ხელში მოხვდებოდა, რასაც წააწყდებოდა, რასაც იშოვიდა: ტელეგრაფის ბლანკზე, კონვერტებზე, ღია ბარათებზე, აფიშაზე, კინოსა და ტროლეიბუსის ბილეთებზეც კი. წერდა წიგნისა და გაზეთის, ჟურნალისა და კალენდრის არშიებზე. ამ უკანასკნელს ხშირად იყენებდა, თავისუფალ ფართობს მაქსიმალურად ითვისებდა და დღიურების შესაბამის თანამიმდევრობასაც იცავდა თარიღების კვალდაკვალ (ჯავახაძე ვ., 1988:60). ყურადღებას იპყრობს გალაკტიონის ზოგიერთი ჩანაწერ-ჩანახატის კომპოზიცია: სტროფები, ტაეპები, სიტყვები, იფრები, ნოტები, ტელეფონის ნომრები, მისამართები, გვარები, სათაურები, საქმიანი პროსპექტები, სახელდახელო შენიშნვები, ციტატები, ფრაზები, ლირიკული წიაღსვლები, მოკლე სენტენციები, ირონიული შეძახილები, მოულოდნელი შეკითხვები, - ყველა დამოუკიდებელი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი... ქართული, რუსული, ფრანგული... ოვალსა და ელიფსში ჩასმულ ტესტებსა და ტექსტებს, კვადრატებისა და პირამიდების დიაგრამებს, პარაბოლებისა და დიაგონალების რკალებს - პარალელური და დახრილი სტრიქონები ენაცვლებიან და მთელი ეს გრაფიკული ქაოსი ისე სიმეტრიულადაა განლაგებული გაშლილ ფორმატზე, ისე მჭიდროდ ავსებს ფართობს და იმდენად მიმზიდველ მოზაიკას ქმნის, გეგონება წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ყოველი დეტალი.

გალაკტიონ ტაბიძის მიერ მიღწეული ლიტერატურული სიახლენი, ღვთაებრივ ნიჭთან ერთად, უდიდესი შრომის შედეგიც იყო. თავად მწერალიც ამბობდა, რომ „ნამდვილი ხელოვნება ტექნიკური ოსტატობისა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ თანდათანობით, ხანგრძლივი, მოთმინებით სავსე, ათასნაირი ცდების, მხოლოდ დიდი დროისა და დაუღალავი შრომის გზით“. სწორედ ამ „დიდი და დაუღალავი შრომის“ დადასტურებაცაა ის უამრავი ვარიანტული სახესხვაობანი, მის ცალკეულ ნაწარმოებებს რომ მოეპოვებათ. ამ ვარიანტებიდან ნათლად ჩანს, რაოდენი ღწვისა და რუდუნების შედეგად აღწევდა პოეტი იმ სრულქმნილ ჰარმონიას, რითაც მისი პოეტური შედევრები გვაოცებენ.

პოეტი მურმან ლებანიძე აღნიშნავს: „უსაზღვროა გალაკტიონ ტაბიძის დამსახურება ქართული ლექსის განვითარების საქმეში, განუზომელია გალაკტიონის გავლენის

ძალა მეოცე საუკუნის მთელ ქართულ პოეზიაზე. მსოფლიო პოეტური კულტურის გამოცდილებაზე დაყრდნობით გალაკტიონ ტაბიძე თვისობრივად აახლებს ქართულ ლექსს, ნახევარი საუკუნის გრძელ გზაზე ტიტანურ შრომას ეწევა და ქართული პოეზია ახალ შარაზე გამოჰყავს. გენიოსის გუმანი შეუცდომლად უკარნახებს, არ მოსწყდეს მშობლიურ ნიადაგს, ქართული სიტყვის ფერ- ხორცით, ქართული კლასიკური თუ ხალხური პოეზიით იკვებებოდეს, ერის ჭირ - ვარამითა და ეროვნული იდეალებით საზრდოობდეს. უახლეს ქართულ პოეზიაში არ არსებობს პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრით გაემდიდრებინოს მშობლიური ლიტერატურა. მეოცე საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის - გალაკტიონ ტაბიძის სახელი მშობელმა ერმა ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ჩაწერა უკვდავთა თანავარსკვლავედში“... (ლებანიძე, 1991:5-6). აკი თავადაც ამბობდა:

„დღეები ბრუნავს, ვით კამათელი,
და ყვავილების არის მრავლობა.
ჩემთვის დღესავით არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა.
წელიწადები წავლიან ძველნი.
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი“.

(ტაბიძე, „წელიწადები წავლიან ძველნი“, 1971:69).

გალაკტიონი ქართველი კაცის გონებაში ასოცირდება ყოველგვარ მშობლიურთან, ნაცნობთან, ათასგზის შენივთებულთან, ეროვნული სიამაყის საგნად ქცეულთან. ალბათ, ამასვე გულისხმობდა არჩილ სულაკაური, როცა შემდეგ სტრიქონებს წერდა:

„მტკვარი,
არაგვი,
ალაზანი,
ბზიფი,
რიონი...

გზა, მეგობრებო!

მობრძანდება გალაკტიონი!

მთრთოლვარე აზრი,

გადაწნული სიმწრით თითები.

სიტყვა-

ხავერდზე გაბნეული მარგალიტები.

გრემი,

გელათი,

ნიკორწმინდა,

ჯვარი,

სიონი...

გზა, მეგობრებო!

მობრძანდება გალაკტიონი!

ნათელი სული,

იისფერი ზეცის თავანი.

მამულის გრძნობა-

ო, ყველაზე უფრო მთავარი!

უშბა,

თეთნულდი,

შხარა-

ლურჯი კავკასიონი...

გზა, მეგობრებო!

მობრძანდება გალაკტიონი!“

(სულაკაური, „გალაკტიონი“, 1986: 3).

მიგნებულად შენიშნავს ტარიელ ჭანტურია: „უფრო შორს რომ გადაეხედა, ჩემი თაობა გალაკტიონის ღონიერ მხრებს დაეყრდნო და ისე აიწია მაღლა, ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც თვით გალაკტიონის ყოვლისმხილველ თვალსაც კი

შეუმჩნეველი დარჩენოდა - ეს საგანგებო კვლევის საგანია და ექსპრომტად ამის გამო საუბარი გამართლებული არ იქნებოდა“ (ჭანტურია, 2009:89).

რუსთაველის შემდეგ გალაკტიონი უპირველესია, რომელმაც ყველაზე უკეთესად, ყველაზე უფრო სრულყოფილად და ვირტუოზული არტისტობით მომართა (შექმნა კიდეც) ქართული ლექსის ინსტრუმენტები, გალაკტიონის საშემსრულებლო ხელოვნება შეუდარებელია.

ბუნებრივია, „პოეზიის მეფეს“ გაცნობიერებული ქონდა საკუთარი მუზის ფასი, ამიტომაც აღიქმება მკითხველის მიერ ასე ორგანულად მისი სტრიქონები:

„როგორც ერთია ქვეყანა ვრცელი, ისე ერთია გალაკტიონი“;

„რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“;

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა...“

ამგვარი გალაკტიონის ხელშესახებად ცოცხალი სურათია დახატული მურმან ლებანიძის ლექსში:

„ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის „მთვრალი“ იყო, როგორც ყოველთვის!):
- ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ
მეორე პოეტი...
უცებ ჭინკებით გაევსო თვალი -
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
- საქართველოში?! - ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე
მოისვა ბრჭყალი“...

(ლებანიძე, 1991:9).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე საუბრის დროს არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა კლასიკური ქართული მწერლობისადმი მის დამოკიდებულებაზეც არ ითქვას. ამ თვალსაზრისით, მწერლის ლიტერატურულ ჩანაწერებთან ერთად, დიდად ფასეულია მისი პოეტური ნაწარმოებებიც. როგორც უკვე ითქვა, ქართველ პოეტთაგან

გალაკტიონი ექვს უდიდეს წარმომადგენელს მიიჩნევს განსაკუთრებული თაყვანისცემის ღირსად - შოთას, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკისა და ვაჟას. ამ ექვსეულს ის არაერთხელ გამოყოფს და ხოტბას არ იშურებს მათ განსადიდებლად. ეს ყველგან ასეა, გარდა ერთი შემთხვევისა - „რარიგ კარგია, სამშობლოვ“, ამ ლექსში აღნიშნულ ექვსეულს აკლდება გურამიშვილი და ბარათაშვილი:

„რარიგ კარგია, სამშობლოვ, შენი მტკვარი და რიონი,

შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა“...

(ტაბიძე, 1971:200).

გალაკტიონი წინამორბედთა ღვაწლის მხოლოდ ამგვარი შეფასებით არ კმაყოფილდება და მათ უშუალო მემკვიდრედ თავის თავსაც აცხადებს. ერთ-ერთი ლექსის („თენდება, გათენდა“) ვარიანტში ეს თვითშეფასება ასეთ სახეს იღებს:

„ავიღებ ხელში ისევ შოთას, გვეყო სიმშვიდე,

მე ჩვენთა დღეთა ავაგებ ოდას, რიცხვით მეშვიდეს“.

(ტაბიძე, 1971: 190).

როგორც ვხედავთ, საკუთარი შემოქმედებითი ღვაწლის შემფასებელი ლექსებით გალაკტიონმა თამამად განსაზღვრა თავისი როლი და ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ თვითშეფასების დროს მთლიანადაა გამორიცხული ოდნავი დაშვებაც კი. მისთვის „დღესავით იყო ნათელი“, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა. ამგვარი თვითრწმენა განსაკუთრებული ძალით გამოიხატა სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერილ არაერთ ლექსში. და როცა პოეტის შემოქმედებითი ღვაწლის ღირსეული დაფასება და წარმოჩენა ხდება საჭირო, უწინარესად, სწორედ მათ ვიხსებთ ხოლმე, ვინაიდან ამ ლექსებზე უფრო ზუსტად და შთამბეჭდავად ძნელია ამის გაკეთება (ნიკოლეიშვილი, 2002:222).

გალაკტიონ ტაბიძემ შემოქმედებითად აითვისა და გაითავისა კლასიკური ქართული პოეზიის უმდიდრესი პოეტური ტრადიციები. მისი ლირიკის სიახლენი მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ტრადიციათა წიაღში იღებენ სათავეს და სრულიად ახალ პოეტურ თვისებრიობად გარდაისახებიან. მისი პოეზიის მასტიმულირებელ

წყაროებზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ქართული ხალხური პოეზიის უმდიდრესი საგანძურიც.

ფორმის საშენი მასალა - სიტყვა გალაკტიონ ტაბიძესთან უმაღლესი ფასეულობაა, ის რთული ესთეტიკური ერთეულია და აზრის გარდა შეიცავს ფერს, მუსიკალურ ჟღერადობას, აქვს ემოციური და ასოციაციური დატვირთვა. ლექსში "ქებათა ქება ნიკორწმინდას" გ.ტაბიძე წერს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა". ლია სტურუა მიგნებულად აღნიშნავს: „ასეთი პოეტური თავისუფლება ძალუძს მხოლოდ ნოვატორს, პოეტს, რომელსაც ემორჩილება სიტყვა, რომელიც ფლობს მის საიდუმლოებას, ვისი შემოქმედებაც მატარებელია იმ განუმეორებელი პოეტური სიახლისა, რომელსაც არ იძლევა არც ბრწყინვალე პოეტური ტექნიკა, არც პოეტიკის კანონების ცოდნა, არც მხოლოდ საინტერესო აზრი, რადგან პოეზია არის აზრისა და ფორმის, ფაქტურის ბედნიერი ჰარმონია (სტურუა, 1984:347).

გალაკტიონ ტაბიძეს არასდროს არ მოუთხოვია ტრადიციის სრული უარყოფა და ყოველგვარი პოეტიკური თუ ესთეტიკური კანონების დარღვევა. მის პოეზიაში იმდენად არ არსებობს შეზღუდვის ცნება, რომ ჩნდება ასეთი სტრიქონები:

„ სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას".

ან კიდევ:

„ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია"...

გალაკტიონმა ალბათ პირველმა აღნუსხა წამიერი შთაბეჭდილებები, უმნიშვნელო, წვლილმანი, თითქმის უჩინარი სულიერი მდგომარეობები (განწყობილებები) და აიყვანა ისინი მაღალი პოეზიის რანგში.

ლექსებით ნაფერებ სამშობლოს სიყვარულს სხვა ხიბლიც აქვს და მკითხველში თანაგანცდის გამოწვევის უნარიც, მით უფრო მაშინ, თუ პოეტს „მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლის" დაუოკებელი სურვილი კლავს და ამ გზაზე არც დაღლასა და დაბრკოლებას უშინდება:

„თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ

გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,

მარად მანთებს შუქი სვეტისცხოვლისა:

პოეზია - უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი

მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,

ყველაფერში შუქით შემობურვილი:

პოეზია - უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,

მე მოვკვდები - როგორც პოეტს შეჰფერის,

სიმღერები ხალისის და ბრძოლისა,

პოეზია - უპირველეს ყოვლისა!“

(ტაბიძე, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 1971:151).

გალაკტიონ ტაბიძის პოეტურმა ბედმა განსაცვიფრებელი სიზუსტით აირეკლა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების შუქჩრდილი. ეს ანარეკლი სინამდვილის უბრალო პოეტური ილუსტრაცია, ასლი ან ექო კი არ იყო, არამედ გენიოსის დიაალოგი მარადისობასთან.

თავი II

ეროვნული თემატიკის გენეზისის პრობლემა ქართულ პოეზიაში

ქართულმა პოეზიამ განვითარების გრძელი და ხანგრძლივი გზა განვლო. გზა ტკივილიანი, სამშობლოზე, მის აწმყოსა და მომავალზე მოფიქრალი. ამდენად, აუცილებლობად გვესახება ქართული პოეზიის, მისი არსის გააზრება, იმის, რითაც შევძლებთ ქართველი ხალხის სულის, მისი სიმდიდრისა და მომავალი პერსპექტივების წაკითხვას. „ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულ პოეზიას აქვს თავისი ცხოვრება, თავისი ისტორიული პროცესი“ (გალაკტიონი).

ქართველმა ხალხმა სიტყვაკაზმულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა. იგი ერის წინამძღოლად აღიარა. ეს განაპირობა ქართველი ხალხის ისტორიულმა ცხოვრებამ. „ჩვენს ერს ხშირად და დიდხანს უხდებოდა ცხოვრება ნაციონალური ხელისუფლების თვინიერ, დამპყრობლის უღელქვეშ. ასეთ პირობებში ორად ორი ძალა იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას - ქრისტიანული რელიგია და

მწერლობა“ (ბაქრაძე, 1990:3). ქართული პოეზიის დიდი გზის გააზრებამ უნდა დაგვანახოს როგორ გამოვლინდა ქართველი ხალხის სულიერი ენერგია კულტურის სფეროში.

ეროვნული თემატიკის ქართულ ლიტერატურაში შემოტანა „აბოს წამებით“ იწყება. იოანე საბანისძის თხზულებამ ძნელბედობის ჟამს ქართველ ხალხს რწმენა, ძალა, იმედი, ენერგია ჩაუნერგა და მტკიცე თავდაცვა ასწავლა. ასე მოდის და მოდის საუკუნეების მანძილზე. სულხან-საბა ორბელიანი მწერალიცაა და სახელმწიფო მოღვაწეც. დავით გურამიშვილი პოეტიცაა და „ქართლის ჭირის“ მოზარეც.

საქართველოში მწერლის ეროვნულ წინამძღოლად წარმოდგენას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენს მეფეთა შორის ბევრი პოეტობდა. დავით აღმაშენებელი ავტორია ჰიმნისა „გალობანი სინანულისანი“. დემეტრე პირველი - „შენ ხარ ვენახისა“. თამარს იამბიკოები დაუწერია. პოეტები იყვნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე. ასე გადაეჯაჭვა ჩვენში მწერალი და პოლიტიკოსი ერთმანეთს. მწარედ, მაგრამ სამართლიანად იხუმრა აკაკი წერეთელმა - „ მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის“ იმღერებსო“. საქართველოსაც ასე დაემართა. თუმცა აკაკი ისიც დააყოლა - „დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსათვის არა დაუკლია-რაო“ („ბაში- აჩუკი“).

მოგვიანებით კი მურმან ლებანიძე თავის უკვდავ ლექსში „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ წარსულის ღრმა გააზრებით იტყვის:

„ ოთხ მეფეს სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია,
- რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი! –
ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
ამას მოჰყოლია:
„ვაჰ, დრონი! ვაჰ, დრონი!“

(ლებანიძე, 1991:31)

სასულიერო ჰიმნები ქართული პოეზიისა ძირითადად შეესატყვისებოდა ქრისტიანული სამყაროს სასულიერო პოეზიას. იგი გადმოსცემს ქართველი ადამიანის

სულიერ მდგომარეობას, მის ადგილს ზეციერსა და მიწიერს შორის, მის თავმოდრეკილ პრეტენზიებს, ლოცვისა და ვედრების პოზიციას. იგი გახლდათ მლოცველი, მორწმუნე ადამიანის სულის ანატომია, ფიქრის მოძრაობა თავისუფალია ზედმეტი ვნებათაღელვისა და ზრახვებისაგან, სულის მზერა უზენაესის, იესო ქრისტეს სიმაღლისაკენაა მიპყრობილი. გაუმრუდებელია ეს მზერა, არ აქვს წახნაგები. ლოცვა სინათლის სვეტს ჰგავს, ზეცისკენ აღმართულს, და მის ანკარა სხივებში არ ერევა არც ერთი დემონის მღვრიე მზერა. განწმენდის, სულიერი ამაღლების გზაა სასულიერო პოეზიის გზა. სულ მაღლა, მაღლა უნდა გაყვეს ჩვენი ანალიზი ადამიანის სულიერი თვისების სიღრმეს სასულიერო პოეზიაში, იგი უზენაესისაკენ გაჭრილ გზაზე დანაწილდა, ამ მიმართულებით გაიხარჯა. ყოველი თვისება, სულის ყოველი მდგომარეობა მრავალ შენივთებულ თვისებას და შენივთებულ სულიერ მდგომარეობას გულისხმობს.

პოეზია ვერ შეურიგდებოდა ერთი მიმართულების მოძრაობს ან ერთ მდგომარეობაში ყოფნას. სასულიერო პოეზიის ვერტიკალური განფენილობა საკუთარი არსითა და დანიშნულებით არსებობს. შემდგომ მის პარალელურად იბადება და ძლიერდება საერო პოეზიად წოდებული: ამქვეყნიური ცხოვრების, ამქვეყნიური ყოფიდან გამოკვებილი ადამიანის სულიერი მდგომარეობა, გვევლინება პოეზიის საგნად. აქ კი უკვე ჩახრუხაძის, შავთელის, რუსთველის პოეზია მოითხოვს დაკვირვებას. ქართული პოეზიის დანიშნულება რუსთაველთან ზოგადადამიანური გრძნობებით არის განფენილი. ჩნდება სივრცის გრძნობა, როგორც ახალი ერთეული. რუსთაველამდე თითქმის ორასი წლით ადრე საქართველო დახმარებას უწევს ოდესღაც უძლიერეს სახელმწიფოს, აწ დასუსტებულ საბერძნეთს, თორნიკე ერისთავის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა ბარდა სკლიაროსი, რომელიც საბერძნეთის სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყდა. აქ ქვეყნის პოლიტიკური ფენომენი გაძლიერებული ჩანს.

შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკური ფენომენი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ხელში გაარღვია მუსულმანური სამყაროს საზღვრები და ქვეყანა მსოფლიო ასპარეზზე გაიყვანა. საქართველო ერთადერთ ძლიერ ქვეყნად იქცა

აღმოსავლეთში. ახლა სწორედ ის ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს. შემდგომ უკვე აღმაშენებლის შთამომავლობის ხელშიც იგრძნობა აღმავლობა. ქვეყანა ავითარებს ეკონომიკას, სრულყოფს პოლიტიკას და „სიბრძნის ერთ დარგს“- პოეზიას აძლევს გასაქანს, ასახოს თავისი საგანი. ეს უკვე თამარის დროა. დროის ორგანიზმმა თავისი საუკეთესო შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინა: კაცთმოყვარეობის იდეა, მეგობრობის იდეა, ფიზიკური და სულიერი სილამაზის პათოსი, ოღონდ ძლევამოსილი ქვეყნის შვილის სულიერი ცხოვრებაა ეს ცხოვრება. რუსთაველის პოეზიის საგანი საყოველთაოა. იგი არიდებულია ერთი ქვეყნის მასშტაბურ სატკივარს თუ სიხარულს. ამაღლებული და რაინდული სულისკვეთების გარემოცვაშია ჩამოყალიბებული გმირთა ხასიათები. ამ დროის ქართული პოეზიის გაზრდილი მასშტაბები გამოხატავდა თავის უპირველეს საგანს - ადამიანის სულს და გულისხმობდა საქართველოს მდგომარეობასაც.

რუსთაველის შემდეგ საქართველოში მონღოლები მოვიდნენ. შეიცვალა საქართველოს მდგომარეობა, XII საუკუნის საქართველოს ძლევამოსილება ნამსხვრევებად ქცეულა. უკვე „ვერავინ მოსთვლის ქართლის ჭირს“. რაოდენი განსხვავებაა ორ საქართველოს - თეიმურაზ I, არჩილის, იოსებ თბილელისა და რუსთაველის საქართველოს შორის.

მიგნებულად შენიშნავს მკვლევარი ჯანსუღ ღვინჯილია: „პოეზიის არსებული ფუნქცია შეცვალა ეროვნული ტკივილის არსმა. გურამიშვილის პოეზია უფსკრულში გადაჩეხილი გოლიათის ორგანიზმის კვნესას გამოსცემს. ეს არ არის პატარა კაცის წუწუნი“ (ღვინჯილია, 1983:108). გოლიათის სხეული კვნესის და თანდათან ილეწება ჩვენს თვალწინ: „როგორ მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს“ (გურამიშვილი, 1998: 385).

ალექსანდრე ბარამიძე წერდა: „პოეტი შორიდან ეალერსებოდა თავის საოცნებო სატრფო - სამშობლოს და მზე- ღვთაებას; ეფიცებოდა მათ ერთგულებაში, აღუთქვამდა ყოველგვარი ტანჯვის ატანას, მაგრამ ნატრობდა სამშობლოს წიაღში დამარხვას. პოეტი ღაღადებდა : „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო მზეთა- მზის სახეო! ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო; გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენკერძ

დამმარხეო!“ გურამიშვილის ამ უკვდავ სტრიქონებს მხოლოდ აკაკის ოქროს სიტყვები თუ შეედრება: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“ (კეკელიძე, ბარამიძე, 1987:411-412).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ვახტანგი მეექვსე პირველი პოეტი იყო საქართველოში, ვინც გულისსწორ სატრფოდ დაისახა მისი სამშობლო“ (ბარამიძე, 1975:11).

„დავითიანში“ სამშობლომიტოვებული კაცის გოდება გადაიზრდება სამოთხემიტოვებული კაცის გოდებაში. პოეტისათვის ადამიანის ზეციური სამყოფელი, გურამიშვილის ტერმინით „საინახე“, აუცილებლად გადაჯაჭვულია (სიმბოლურ სიბრტყეზე) ამქვეყნიურ „სამკვიდროსთან“. ამის ნათელ დასტურად გამოდგება თუნდაც შემდეგი სტროფი:

„მე დამწვარსა და დაგულსა, სახლ - სამკვიდრო დაკარგულსა,
სევდის მსჭვლითა გათანგულსა, წასაწყმედლაც გაბარგულსა,
ის მყავს ნუგეშთმცემელი, მტერთა არ მიმცემელი:
ქრისტე ჩვენთვის ჯვარს ეცვა, მით ნუგეში ჩვენ გვეცა საწყალ გულსა“.

(გურამიშვილი,1955:142)

ქართლის დაკარგვა სიმბოლურ სიბრტყეზე დავით გურამიშვილისათვის პირველცოდვის შემდეგ სამოთხის დაკარგვას უტოლდება (მურღულია, 1997:125). მართლაც, ქართველების ცოდვიანობაზეც შემთხვევით არ არის ლაპარაკი „ქართლის ჭირის“ პირველსავე სტრიქონებში:

„... მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა.
ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა“.

(გურამიშვილი,1955:47)

„ გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა,
ბაგით პატივ- სცეს, აჩვენეს გული მტყუვარი ზაკვისა;
უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,
რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა“.

(გურამიშვილი,1955:47)

ქართული პოეზია მტერს არ ანებებდა ხალხის სულისკვეთებას დასათრგუნად. გამუდმებით აფხიზლებდა და გამუდმებით ჩამოკრავდა ზარს ქუდზე კაცის მოსახმობად:

„მწყემსო კეთილო, შენს წმინდა სამწყსოს,
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს,
გულთა მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს.
მრავალ არიან, უფალო, მტერნი,
და წარიტაცონ შენი ცხოვარნი,
გვესწრაფე, ჩვენო ხელთამპყრობელო
და აღადგინე დღეს საქართველო“

(ბარათაშვილი, 1978:295).

ეს უკვე ბარათაშვილია! მეცხრამეტე საუკუნე, როდესაც რუსეთთან შეერთებით საქართველო მუსულმანურ ზღვას დაუსხლტა ხელიდან. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან შეგუებული პოეტი ქვეყნის ორიენტაციის შეფასებას გვაძლევს პოემაში „ბედი ქართლისა“.

ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პატრიოტული თემატიკა სრულად პასუხობს ქართული პოეზიის ახალ დანიშნულებას. მათი პოეტური პოზიცია ეთავსება ბარათაშვილის პოეტური ფენომენის არსს ან გარკვეული შტრიხებით ამდიდრებს მას. ქართველმა რომანტიკოსებმა უხვად ისარგებლეს ქართული ლიტერატურული ტრადიციებით და იმ პოეტური მიღწევებით, რაც ახასიათებდა ქართულ ლიტერატურას საერთოდ, და ქართულ პოეზიას კერძოდ.

გრიგოლ, ვახტანგ ორბელიანებმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა ხელი შეუწყეს ეროვნული გრნობის აღორძინებას, რაც კონკრეტული ფაქტებითა და ისტორიული მოვლენების აღწერით უზრუნველყვეს(ხუციშვილი, 1978:30).

ქართველი რომანტიკოსები არ მოწყვეტილან ეროვნული ლიტერატურის განვითარების გზას, მათ უარი არ უთქვამთ არც ლიტერატურის ისტორიაში გამოყენებულ თემებზე, არც ლექსის ძველი ფორმისთვის უკრავთ ხელი.

პოეზიის პატრიოტული ფუნქცია განუხრელად ძლიერდებოდა, განუწყვეტლივ მატულობს მისი შინაგანი მოვალეობის გრძნობა. აკაკის, ილიას დროს ზენიტს უწია ერის მესაიდუმლის არსმა. პოეტის მხრივ და, უპირველეს ყოვლისა, პოეტის მიერ უნდა გაკეთებულიყო ყველაფერი ქვეყნისათვის. სამეფო კარი არ არსებობდა, მეფისნაცვლები ცვლიდნენ ერთმანეთს. ეროვნული თავისუფლების პრობლემა, ნომერ პირველ პრობლემად დადგა.

ილია ჭავჭავაძემ ქართული სულის კონსტიტუცია დაწერა პოეტურ ენაზე. სხვანაირად მისი შემოქმედების დახასიათება არ შეიძლება. კიდეც გააფორმა თეორიულად ეს პოზიცია ლექსში:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ

მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა“

(ჭავჭავაძე, 1984:66).

ილია ჭავჭავაძემ კი პირდაპირ გამოაცხადა მწერალი ერის წინამძღოლად. მწერლობის ამოცანის ამგვარმა დასმამ განსაზღვრა ქართველი ხალხის სიტყვაკაზმული ლიტერატურისადმი დამოკიდებულება, თორემ არც ერთ ფრანგს არ უფიქრია, რომ ბალზაკი საფრანგეთის ეროვნული წინამძღოლი უნდა იყოსო. არც რომელიმე ინგლისელს მიუჩნევია დიკენსი ინგლისის ნაციონალურ თავკაცად. ერის წინამძღოლის ფუნქციას თავისუფალ ქვეყანაში ისინი ასრულებენ, ვისაც ეს უშუალოდ ევალება და არა მწერლები (ბაქრაძე, 1990:3).

ილიამ პოეზიის ენაზე გააცხადა პრაქტიკულად დამკვიდრებული და დაკანონებული ფუნქცია: პოეტი ერს უნდა წარუძღვეს საქართველოში ისტორიული ბედის წყალობით. იმ დროს საქართველოს პოლიტიკური პოტენციის დაშრეტილობის შეგრძნება და მესაჭეობის მოპოვება მესიის ძალას ითხოვდა. ილიას ეს ძალა აღმოაჩნდა, რადგან ილიას მსოფლმხედველობაში „ბედის სამზღვარი“ სამშობლოს კეთილდღეობაზე გადის და მას უნდა შეეწიროს ნებისმიერი ღირსეული პიროვნების სიცოცხლე. სიცოცხლე იმ ადამიანებისა, რომელთაც „ძილშიაც არ სძინავთ ქვეყნის უბედურებით გულ- აღტკინებულთ“. მწერალი ეთაყვანებოდა ასეთ პიროვნებებს და ამიტომაც მისთვის მიუღებელი იყო რწმენის სისუსტე. ამგვარი „ბარგით“ დრო-სივრცეში ღირსეული მოძრაობა, როგორც ერთი კაცისათვის, ისე ერისთვის ფუჭი საქმიანობაა.

„აჩრდილის“ მოხუცი ეროვნული შემმეცნებელი სულის სიმბოლოდ მოჩანს. „მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, - აცხადებს იგი. ეს სახე შემკრებლობითი სახეა ყველა იმ ქართველისა, რომელიც ოდესმე დაფიქრებულა, ფიქრობს ან მომავალში იფიქრებს საქართველოს სვე-ბედზე.

ქართული პოეზიის მოტივები კიდევ უფრო მკაცრ კალაპოტში ექცეოდა, რაკი პოეზია ოფიციალურად იკავებდა მესაჭის ადგილს. აკაკი წერეთლის სიტყვებია:

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,

ხან არც ისა ვარ, არც ისა!

გარემოების საყვირი,

არც მიწისა ვარ, არც ცისა“

(წერეთელი, 1988:304).

მაგრამ მთელი თავისი კოლოსალური პოეტური ენერგიით, მთელი თავისი მოღვაწეობით იგი მიწიერი, ქართული, ეროვნული ვნებათაღელვის მსახური იყო და აკეთებდა სწორედ იმას, რაც ილიამ პოეტის მოვალეობად დაგვისახა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირად ცხოვრებაში აკაკისა და გალაკტიონის სიახლოვესა და მეგობრულ დამოკიდებულებაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს. აკაკი არაჩვეულებრივი სიმპათიით იყო განწყობილი ჭაბუკი პოეტისადმი, ამჩნევდა მის ნიჭს, გრძნობდა მის სიტყვის ძალას. გალაკტიონი, როგორც სულიერი ნათესავი, აღმერთებდა აკაკის, რამდენიმე შედევრიც მიუძღვნა მას. გალაკტიონის ლირიკისათვის ნიშანდობლივია აკაკისებური სითბო, სისადავე და ხალხურობა(ალავიძე, 1981:4).

კიდევ ერთი გენიალური შემოქმედი მოღვაწეობდა ილიასა და აკაკის გვერდით. ვაჟა-ფშაველა სრული თვითგაღებით ემსახურებოდა ქართული პოეზიის გამოკვეთილ ფუნქციას, ერთი წამითაც არ გამოცლია გვერდიდან საქართველოს ცხოვრების მესვეურებს, პასუხობდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭირო თემატიკას.

დადგა თუ არა მეოცე საუკუნე, თითქოს ყველაფერი საკუთარი მოიტანა: სულისკვეთება, სისწრაფე, განვითარების ტემპი, ახალი მსოფლიო მოვლენები - მეცხრამეტე საუკუნისთვის უცნობი, ახალი პრობლემები, საერთო მსოფლიო ამოცანები. გაიზარდა ომების სივრცეც. სწორედ მეოცე საუკუნემ მოიტანა მსოფლიო ომები, მსოფლიო კატასტროფის განცდაც, მოიტანა კოსმოსის ერა.

ქართული პოეტური გონის მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან ურთიერთობის საზომი, და, ალბათ, ქართული სულის გამოვლენის იდეალური შემთხვევაა გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. მხედველობაში გვაქვს გალაკტიონის პოეზიის უნიკალური თვისება - მეოცე საუკუნის გრძნობა! გალაკტიონი თავისი სწორუპოვარი ნიჭით ხედავს იმ უზარმაზარ ცვლილებებს, თავჩენილსა და ფარულს, რაც ხდებოდა კაცობრიობის ცხოვრებაში ან რაც მზადდებოდა მოსახდენად.

ქართული პოეტური სიტყვა გაიშალა ყველა მიმართულებით და შეიძინა ყველა განზომილება ჩვენი დიდი საუკუნის სულიერი ცხოვრებისა. გალაკტიონი გრძნობს

თითქოს ყველაფერს. მისი პოეზია არის ნიმუში, თუ როგორ უნდა გაითავისოს ჩვენს საუკუნეში ეროვნულმა პოეზიამ კაცობრიული მოვლენები, გაითავისოს მისი ახალი მიმდინარეობანი, როგორ გადახარშოს ეს ძვირფასი მასალა ახალი პოეტური ერთეულის მისაღებად. გალაკტიონის „ეფემერა“, „ისევ ეფემერა“, „მსოფლიო-მსოფლიო“ და სხვა ლექსები პირდაპირ, დაუფარავად გვიმჟღავნებენ ზემოთქმულს. მთელი პოეზია კი გალაკტიონის შრეებში ჩატანილი ამგვარი გრძნობისა და ამგვარი სიმაღლის გამომხატველია.

ცხადია, გალაკტიონი არ წარმოადგენს უდაბნოში ამოსულ გიგანტურ ხეს. მასთან ერთად ტიციან ტაბიძემ, გიორგი ლეონიძემ, ალექსანდრე აბაშელმა, სიმონ ჩიქოვანმა, მუხრან მაჭავარიანმა, შოთა ნიშნიანიძემ, მურმან ლებანიძემ, ანა კალანდაძემ და სხვებმა შექმნეს დროის შესაფერისი მაღალი დონის პოეზია. ხმამაღალი იყო“ მათი განაცხადიც:

“ მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის!“
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!“

(ლებანიძე, 1991:28).

ასე იარა ქართულმა პოეზიამ დღემდე. მდიდარი თემატიკით, გამორჩეული მსოფლმხედველობით, ფერთა სიმრავლით, ეროვნულობით, თავისთავადობით აღბეჭდილმა სიტყვამ. „საქართველო დღევანდელი, საქართველო გუშინდელი და საქართველო ხვალინდელი - აი, ჭეშმარიტი პოეტის უწმინდესი საკურთხეველი!“(ანა კალანდაძე).

მიძინებული ერის გამომაფხიზლებლისა და განგაშის ზარების შემოკვრის ფუნქცია პოეზიამ მეოცე საუკუნის ბოლოსაც შეინარჩუნა:

„დღეა თუ ღამე მე გიღვიძებ სიხარულს, ტკივილს,
თავწასაგები მამალივით ვყივი და ვყივი:

არ ჩაგეძინოს, არ ჩაგთვლიმოს, შეიბ მახვილი,

შეიბ მახვილი! შეისმინე მგოსნის ძახილი,

შეიბ მახვილი!“

(ნიშნიანიძე, „შეიბ მახვილი!“ 1984:32-33).

ქართული პოეზიის მოქალაქეობრივი და პატრიოტული მოტივებისა თუ ტენდენციების გამო შეიძლება მოკლედ ითქვას: ვინც ილიას, აკაკისა და ვაჟას პოეზიაზე აღზრდილა, იმას არ შეუძლია თავისი ლხინი და ჭირ-ვარამი გამოთიშოს მშობლიური ერის სვე-ბედს. და სანამ ქართული ცის „გუნდი და გუნდი ვარსკვლავთა“ წინ მიუძღვის პოეტს, ორივე მოტივი მუდმივ მოტივად დარჩება მის შემოქმედებაში. ერთია ოღონდ: არავინ უნდა გადაამლაშოს სამშობლოსადმი სიყვარულში, რადგან დედა ყველას უყვარს, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ ყვირიან. ერთი და იმავე თემის თავმომაბეზრებელი ვარიაცია - პოეზიის ნაკლია. ერთმა პატრიოტულმა ლექსმა - „სამშობლო ხევსურისა“ - გადაარჩინა რაფიელ ერისთავი ქართული პოეზიისათვის, მაგრამ რამდენს ვერ გადაარჩენს თუნდაც ორასი ფსევდო-პატრიოტული ლექსი? (გაწერელია, 1988:183-184).

თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს, ღირებულებათა გადაფასებისა და გლობალიზაციის საფრთხის შემცველ პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ხასიათის თვითმყოფადობას. თვითმყოფადი ეროვნული ხასიათი კი ნიშნავს, რომ იგი განსხვავებულია სხვათაგან, აქვს საკუთარი ადგილი, საკუთარი პოზიცია კაცობრიობის რთულ რუკაზე და, რაც მთავარია, აქვს საკუთარი სახე. თვითმყოფადი ეროვნული ხასიათის სარკე მისი კულტურაა. საქართველოსათვის პოეზია იქცა ყველაზე ნათელ სარკედ. იგი ყოველთვის იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, სწორედ ამიტომ უწოდებენ საქართველოს „მგოსანთა მხარეს“:

„ თუმც ბევრი სისხლი, ჩვენო მიწავ, მიმოიღვარა,

მაინც, როგორც შენ, ვერამცდენმა სიმწრის ფიალის,

ამაყი ქედი პოეზიამ არ მოიხარა

შემოსეულთა, დამპყრობელთა წინაშე ძალის.

ღრმა მწუხარება მშობელ მხარეს მოდებულ ჩრდილის
იყო გულწრფელი მელოდია გურამიშვილის.
ვით ახალგაზრდა ჭავჭავაძის რომანტიულ სულს,
სამშობლო მხარის დამპყრობელის სივერაგე სძულს.
როგორ მიჰქონდა ის მერანი ფაფარგაშლილი,
რომ გადელახა დღენი ბნელნი, გზანი, ყორენი,
იკაწრებოდა ხალხის ბედით ბარათაშვილი.
იმ ხალხის, რომელს თვალბედითი სდევდა ყორანი.
ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან გადაზრდილია,
ხმა სიყვარულის, ხმა მონობის წინააღმდეგი,
ცეცხლი- აკაკი,
გმირი- ვაჟა,
ბრძენი- ილია,
რამდენი გმირი და რამდენი კიდევ ყაზბეგი!
მათი ხმით ზარი გაღვიძების კვლავ დაირეკა,
ხალხის ზრახვებს და წინათგრძნობებს მათ მისცეს მხარი.
აი, რა მიზნებს ისახავდა ჩვენი ლირიკა,
რად ეწოდება საქართველოს მგოსანთა მხარე!“

(ტაბიძე, “რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“ 1971:123-128).

როგორც განხილულმა მასალამ ცხადყო, ქართული მწერლობა ყოველთვის იდგა ქართელი ერის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და გადარჩენის სადარაჯოზე.

თავი III

სამშობლოს სიყვარულის პოეტური გარდასახვა

გ. ტაბიძის ლირიკაში

(„საქართველო! აი, რა არის

შემოქმედება...“)

საქართველო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი მართავს მის განცდებსა და განწყობილებებს, მის მსოფლმხედველობას, მაშინაც კი, როდესაც ერთი სიტყვითაც არ არის მითითებული თუ მინიშნებული სამშობლოს ხვედრზე. პოეტის სულის მდგომარეობა სამშობლოს ხვედრით არის განსაზღვრული და დანარჩენი გრძნობა ამ მდგომარეობას არის დაშენებული. გალაკტიონმა იცის, რომ ყველაზე ღირებული, რაც ადამიანს გაჩენის დღიდან ბოძებია უფლისგან - სამშობლოა, ამიტომ აცნობიერებს, რომ მისი მოვლა და პატრონობა „ვალად ადევს“:

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია-
სთქვა:,, სამშობლო - უპირველეს ყოვლისა!“
არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეშეგნება:
მამულს გული - უპირველეს ყოვლისა!“

(ტაბიძე, „ჰე, მამულო!“, 1971:131).

გალაკტიონ ტაბიძემ სამშობლოს თავისი ჩანგი - გენია, შთაგონება, თავისი წრფელი, უანგარო სიცოცხლე უძღვნა. ეს ყველაზე დიდი საჩუქარია, რომელიც კი ერთ ადამიანს შეუძლია ერს უსახსოვროს.

სამშობლოს ცნება მოიცავს პოეზიის ცნებას და ეს უკანასკნელი არ არსებობს მის გარეშე. რადგან ნამდვილი პოეზია შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნული. ზეეროვნული ხელოვნება არ არსებობს, მაგრამ ამდენი ლექსი სამშობლოზე, თანაც ასე მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული, როგორც გალაკტიონ ტაბიძეს აქვს, ქართულ პოეზიაში იშვიათია. მისი ლექსები „სამშობლოს“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ჰე, მამულო“, „იდიდე სამშობლოვ, იდიდე“ და სხვა მრავალი სიმღერებად ქცეულა და ისინი ზეპირად იცის ყველა ქართველმა, ამიტომაც ამბობს ასე თამამად:

„ ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“.

სამშობლოს სიყვარული იბარტყებს პირველშობილი განცდიდან. სამშობლოსთან ფიზიკური შეხების განსაკუთრებით მშობლიური წუთია დაჭერილი გალაკტიონის ლექსში „მამული“, მასში პოეტურადაა გარდასახული შეგრძნება სამშობლოს სხეულისა, ტერფებიდან რომ შეიჭრება ადამიანის არსებაში და პირდაპირ შადრევანივით იფრქვევა მასში. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული!“ - ყველაფერი აქედან იწყება, კატეგორიებს მერე იძენს, მერე იტოტება, შინაარსი ღრმავდება, სამშობლოს სიყვარულის ფილოსოფია იხვეწება, რთულდება. სიყვარულის ფესვი იმ შეხებაში იბადება, უმალ, ერთბაშად მყარდება კონტაქტი სამშობლოს ორგანიზმთან - ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული! - მთავარი ეს არის.

სამშობლოს არამარტო გმირული წარსული და აწმყო, მისი ხელოვნება და ანბანი, არამედ მისი ბუნებაც ხელშესახები და მშვენიერი, რომელიც აერთიანებს მზის ნათელს და ღამის ჩრდილს, აუცილებელი პირობაა ადამიანის ბედნიერებისა, ამიტომაც ამბობს პოეტი:

„მე რომ მკითხონ: - რა გვინდა, რომ ბედნიერი გახდეს კაცი?
ვუპასუხებ: - საქართველოს ეს ბუნება თვალწარმტაცი.

ან კიდევ:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?-
ეს ჩემი სამშობლოს მთებია!“

(ტაბიძე, „დაბრუნება“, 1971:123).

გ. ტაბიძესთან, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველასთან, ბუნება და დამოკიდებულება ფენომენია, რომელიც არასდროს არ ქმნის მხოლოდ ფონს ადამიანის სულიერი განწყობილების გადმოსაცემად. აქ შეიძლება ლაპარაკი არა მარტო ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაზე, არამედ ურთიერთგავლენაზეც. ამის ნათელი მაგალითია გალაქტიონის პოეზიის შედევრად მიჩნეული ლექსი „გურიის მთებს“, რომელშიც თვალწარმტაცი პოეტური სახეებითა და ფერებითაა დახატული საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის მომაჯადოვებელი სურათი. „გურიის მთები“ საქართველოს ერთი კუთხიდან მთელი საქართველოს დანახვის სურვილითაა ნაკარნახევი. პოეტს მთელი თავისი არსებით აქვს განცდილი თავისი ქვეყნის სიდიადე, რომელიც მხოლოდ ბუნების მრავალფეროვნებას არ გულისხმობს, არც გარეგნულ სილამაზეს. უპირველეს ყოვლისა მის შინაგან ბუნებას აქცევს ყურადღებას, რაც ქართული მენტალური სფეროა:

„წინ, მეეტლევ! ეგ ცხენები გააქანე, გააქანე!
მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო გაზაფხულის მთები მწვანე,
მსურს, რომ დაფნით გადავხლართო მძიმეფიქრთა ოკეანე!..
წამიყვანე!
მთები! როგორ შვენის მათზე გაზაფხულის ბუჩქ-ფოთოლი,
როგორ შვენის ველზე ნამი, გამჭვირვალე, როგორც ბროლი.
ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი.
კიპარისი ისე ღელავს, ისე ღელავს, ისე ღელავს,
ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს,
წყარო, კლდეში მოჩუხჩუხე, წვეთ ანკარა, ვით ცის ვნება,
დაფნის ბუჩქთა მწვანე ჩარჩოს ეომება, ეხეთქება.
და ჩანჩქერი, მთით ნასხლეტი, დაფერილი დილის სხივით,
ძირს ეშვება და იფრქვევა და გადადის რძის ქაფივით.
ვდგავარ მთაზე... და სიჩუმის იდუმალი მესმის ენა,

და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური აღმაფრენა.

ვხედავ სურებს, ვხედავ დაფნარს, ვხედავ მდუმარ ნასაკირალს,

ვხედავ სოფლებს სიცოცხლისას, განახლების თვალით მზირალს.

ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში!..

არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში,

არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი, ბრძოლის ქარი,

არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის ნიაღვარი“…

(ტაბიძე, 1971:6)

გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში არც თუ იშვიათად ვხვდებით მშობლიური ბუნების მშვენიერებისა და მისდამი პოეტის განსაკუთრებული გრძნობადი დამოკიდებულების ამსახველ სტრიქონებს:

„ მზე ეფინება ნაზი

ქუთაისსა და თბილისს.

მაგრამ თენდება. ყავრად

მთებს ეფინება თებო.

ჩემი სალამი, მძლავრო

კავკასიონის მთებო!“

(ტაბიძე, „შენ რას იტყვი“, 1971:72).

ან კიდევ:

„ ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა,

თავმიდებული აჭარის კალთებს.

რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა,

თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს“.

(ტაბიძე, „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, 1971:91).

ამავე თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლექსი „ეს მშობლიური ქარია“. პოეტის წარმოსახვაში შეტანილია რეალური სინამდვილის ცოცხალი შტრიხები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება პეიზაჟის ლოკალური ნიშნების დადგენა. თვით საქართველოს ბუნებაც მის თვალში თითქოს ახალ იერს იძენს. კავკასიონის ქედი,

რომელიც გალაკტიონ ტაბიძეს ადრე მისტიკურ „თეთრ კუბოდ“ წარმოედგინა, ახლა მის პოეზიაში იქცა ქართველი ერის სულიერი სიდიდისა და შეუვალობის, მისი ამაღლებული იდეალების განსახიერებად:

„ეს მშობლიური ქარია.
ეს სოფელია მძინარე.
არ ვიცი, რად მიხარია:
ვაზი, ყანები, მდინარე.
დღემ ნისლი შემოიხვია,
გზაც სიარულმა დალია,
ის- ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წინანდალია.
წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას - ვაშლი წითელი.
როგორ რთავს, როგორ აშენებს
აკიდოების მკიდველი“.

(ტაბიძე, „ეს მშობლიური ქარია“, 1971:156).

ათწლეულთა გადასახედიდად განსაკუთრებით ტკივილიანად იკითხება გალაკტიონის ლექსი-მისალმება აფხაზეთის „ლურჯი მთებისა“ და „სინათლის მფენი მზისადმი“:

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!-
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია.
მომენატრა მზე, სინათლის მფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.
მომაგებე შენ იგივე პალმა,
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,
მომაგებე მშობლიური გემი,
მომაგებე მშობლიური მიწა,

შენი ძველი მეგობარი მიცან“.

(ტაბიძე, „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, 1971:142).

ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში სამშობლოს სიყვარულის ფაქიზი და სათუთი გრძნობის გამომხატველი სიმღერა: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“.

„მკითხველის სიყვარულმა გადაარჩინაო, ამბობდნენ, ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“. წყალტუბოს ერთ სკვერში დაუწერია. შემდეგ, ეტყობა არ მოწონებია, დაუხევია და მიუტოვებია. ჩანს, ვიღაც უთვალთვალებდა, ლექსის ნაფლეთები შეუკოწიწებია. ასე მიენიჭა სიცოცხლე ერთ მშვენიერ, შემდეგში სიმღერად ატაცებულ ლექსს“ (ბარათაშვილი, 2009:99).

მშობლიური ბუნების თვალწარმტაც სურათებს ზოგჯერ მუქი ჩრდილებიც ახლავს, „ომგადახდილთა“ ოხვრას რომ მოგაგონებს პოეტს, სწორედ ისეთი:

„ მგლოვიარე ბინდებით იბურება ყვარელი,
ვაზით და სიმინდებით მიდის გზა საყვარელი;
ჩანს შორეულ ჩრდილების კიდეებზე მონთება
და ომგადახდილების ოხვრა მომაგონდება.
შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა,
ეცემიან კოშკები ცისა და ნესტანისა“.

(ტაბიძე, 1971:156)

მშობლიურ ბუნებასთან სიახლოვის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ყველასათვის ცნობილი და საყვარელი ლექსი „მამული“, რომელშიც პოეტი სამშობლოს სიყვარულისა და ფიზიკური სიახლოვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად მშობლიური მიწის დანამულ ბალახზე ფეხშიშველა სიარულს მიიჩნევს: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული?!“ (ტაბიძე, 1971:17). მშობლიური მიწის დანამული ბალახის შეხებასთან ერთად პოეტის შეგნებაში და გრძნობათ სამყაროში შედის სამშობლოს სიყვარულიც:

„სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ ავლია,

აი, პირველი, აი, პირველი-

რის სიყვარულიც მე მისწავლია.

შენს გამარჯვებას, ჩანგო, მოველი!

ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წარვლიან,

მედგარი ბრძოლა! აი, ყოველი,

რის სიყვარულიც მე მისწავლია.

გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს:

რა სიუხვეა! რა სიმრავლეა!

გადამასწავლოს- ნურავინ ჰგონებს-

რის სიყვარულიც მე მისწავლია!"

(ტაბიძე, „სამშობლოს", 1971:105).

პოეტის სიამაყის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ მისი თვალწარმტაცი ბუნება, არამედ მისი ისტორიაცა და კულტურაც, რაც შოთა რუსთაველის სახეშია გაცხადებული:

„ბევრი მხარე მოვიარე-

ასე იწყებს ამბავს მთვარე,-

მაგრამ საქართველოსთანა

არ მინახავს არსად მხარე.

ბრწყინავს მისი ძველისძველი

უძლეველი მთა და ველი,

მისი წყალი, მისი სივრცე,

მისი შოთა რუსთაველი!"

(ტაბიძე, „მთვარის ნაამბობიდან", 1971:106).

თავის დიდ შემოქმედებით წინაპარს - შოთა რუსთაველს - გალაკტიონი სხვა ლექსებშიც არაერთხელ იხსენიებს:

„ რუსთაველი - ხანია,

ისიც ცხრა ანბანია"...

(ტაბიძე, „ელვარე და ლომფერი", 1971:40).

ან კიდევ:

„რუსთაველს მოჰყვა სიხარული დაუთრგუნავი,

მას შეუძლია ცა გადაჰკალოს“.

(ტაბიძე, „პოემა ვეფხვისა“, 1971:14).

ანდა:

„მაგრამ მოვიდა ერთხელ მგოსანი,

შემოქმედება აზრს შეუზავა,

ვეფხის - დაარქვა მას - ტყაოსანი,

და საუკუნე გააუკვდავა!“

(ტაბიძე, „ქაღალდი“, 1971:179).

სამშობლოს სიყვარულით შმაგადქცეული პოეტი დიდი შემოქმედებითი წინაპრის მსგავსად გაჭრილა მშობლიურ მთა და ველებზე:

„შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,

მშობლიურ მთა და ველებზე,

ვარ ოცნებისთვის გაჭრილი

მე, ვინმე მესხი მელექსე“.

(ტაბიძე, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, 1971:97).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში თავიდანვე იკვეთება ის მაღალი ადამიანური იდეალები, რომლებიც ავტორის დაუოკებელი მიზანსწრაფვის საგნად და უმთავრეს ცხოვრებისეულ ორიენტირებად არიან დასახულნი. ამ იდეალთაგან უპირველეს ადგილს ეროვნული და პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა იჭერს. საქართველოს სამომავლო ბედნიერების უმთავრეს საგნად პოეტს მონობის ბორკილების მსხვრევა მიაჩნდა. ახალგაზრდა პოეტს გულს უკლავს იმის შეგრძნება, რომ ბუნებაში გამეფებული სანატრელი თავისუფლების საპირისპიროდ ქვეყნად „ტყვედქმნილი“ სინამდვილე დამკვიდრებულა: „თავისუფლება აღარა გვაქვს, თავისუფლება! იტირეთ, ძმებო! ცრემლი დაგვრჩა მანუგეშებლად“. ასე მძაფრია და ტანჯვის მომგვრელი პოეტისთვის თავისუფლების დაგარგვის გაცნობიერებული გაჩენილი მწუხარების პიროვნული განცდა(ნიკოლეიშვილი, 2002:219).

გალაკტიონს ურყევად სწამდა, რომ „პიროვნული ტრაგედიის მიღმა თავის მარადიულ გზას მიუყვებოდა მისი სალოცავი სამშობლო, თავისსავე მომავალს ბეჭდდა ხალხი და რომ, დასასრულ, რაც თვითონ შექმნა, ან რასაც ქმნიდა არ უნდა გაცუდებულიყო ამ მომავლის წინაშე“ (თვარაძე,1972:194). მას, როგორც ადამიანს და როგორც პოეტს, ვერ წარმოედგინა მოქალაქეობრივი მრწამსის გარეშე ცხოვრება:

„ სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი,
 რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,
არამედ კაცი რწმენით და იჭვით.
რომ მომავალშიც ავიტან მრავალს
უამინდობას, წყურვილს, სიცივეს,
ოღონდ ვხედავდე ჩვენ წინ მიმავალს-
ერთი იმედის შუქს მოციმციმეს.
დაბრკოლებათა ათასგვარ საკანს.
შეურაცხყოფილს სუსხსაც ავიტან,
ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს
ჩემი სამშობლოს სანახავიდან“.

(ტაბიძე, „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, 1971:91)

პოეტის ამგვარი განწყობა არც არის გასაკვირი, დიდი პოეტის ხვედრია საკუთარი სულის მოძრაობა დაამთხვიოს ეპოქის ინტერესებს, ხოლო თავისი თანამედროვის, თავისი ერის ბედი თუ უბედობა განიცადოს, გაიზიაროს ისეთივე სიმძაფრით, როგორც ადამიანი, ჩვეულებრივ, მხოლოდ თავის პირად ტკივილსა და სიხარულს განიცდის. სწორედ ასეთი თანაგანცდით არის განმსჭვალული გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.პოეტის მოსვლა ქართულ მწერლობაში ხომ დაემთხვა ჩვენი საუკუნის ყველაზე მძიმე ხანას, რომელმაც საბედისწერო გავლენა მოახდინა მთელი ლიტერატურული თაობის შეგნებაზე. თუ მე-19 საუკუნე, მიუხედავად ყველა თავისთავად აუტანელი, სულისშემხუთავი ობიექტური პირობისა, ქართულ მწერლობაში იყო დიდი სულიერი სიმხნევისა და მსოფლმედველობრივი ოპტიმიზმის ეპოქა - მე-20 საუკუნის დასაწყისში

ცხოვრების სარბიელზე გამოსული ახალი ლიტერატურული თაობის თვალწინ თითქოს ერთიანად და სამუდამოდ დაემხო წინამორბედთაგან ნაანდერძევი ყველა იმედი და ილუზია. ამ მტკივნეულ შთაბეჭდილებაში პოვებს სათავეს ეროვნული პესიმიზმის, უსასოობის ის მწვავე შეგრძნება, რომელიც თანდათან ძლიერდება გ. ტაბიძის ადრინდელ შემოქმედებაში, ხოლო უფრო გვიან ასეთი სახით წარმოგვიდგება:

„ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
,,დიდი ხანია?'' - მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია...
შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
,,ამირანია?” - მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
,,დაკარგულია?'' - მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია“...

(ტაბიძე, „მშობლიური ეფემერა“1971:179).

ქართველი ერის ისტორიული ბედ-იღბლის, მშობლიური სინამდვილის მწუხარე განცდით ეს ლექსი ეხმაურება მე-19 საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლირიკას, მაგრამ მის ინტონაციაში არის ახალი ნიუანსი: არა მხოლოდ „დაკარგვის“ - იმედთა სამუდამო დაღუპვის შეგრძნება, არამედ ამ განცდასთან შინაგანი შერიგებაც და ამის შედეგად აღძრული ტკივილით თავისებური ტკბობის ცდა (ასათიანი, 1983:115).

„ გალაკტიონმა მძინარე საქართველოს მეტაფორული სახე შექმნა „ჩაძინებული არწივების“ სახით. პოეტმა იცის, რომ საქართველოს ძილი ბეჩავი ქვეყნის ძილი არ არის, ქართული სულის თვლემა მონური სულის თვლემა არ არის. საქართველოს ძილი გალაკტიონისთვის არწივის ძილია. ამიტომ ვერ ეგუება პოეტის ფიქრი ჩაძინებას, არწივის ძილი სად თქმულა! და მეტაფორა - არწივის ძილი- სრულად მოიცავს

ძლიერი, აღმამხედი ქვეყნის შინაგან ბუნებას. არწივის ძილში პოეტისათვის განივთებულია დაუცხრომლობის შინაარსი, დროებითობა, მოჩვენებითობა. აი, ნიშნები, რაც ამგვარი ქვეყნის ძილში უნდა წავიკითხოთ. როგორი ალოგიკურიც არის არწივის ძილი, ასევეა საქართველოს ძილიც. ასეთი ღირსებებისა და შესაძლებლობების ქვეყანას არ აქვს ამის უფლება. არადა ფაქტი ფაქტია. რამდენი ხანია წუხს ქართული პოეზია ამ ჩაძინებისა და თვლემის გამო. როგორი სისრულით გამოხატა ამ მოვლენის არსი აკაკი წერეთელმა, როგორ აუყიჟინდა მტერს და მოყვარეს „განთიადის“ ავტორი“ (ღვინჯილია, 1980:405). მართებულად შენიშნავს ტარიელ ჭანტურია: „გალაკტიონი აკაკის მძლავრ მხრებს დაეყრდნო და ისე აიწია მაღლა, რათა უფრო შორს გადაეხედა! ხოლო რა დაინახა მან ისეთი, რაც აკაკის ყოვლისმხილველ მზერასაც გამორჩენოდა- ეს საგანგებო კვლევის საგანია“ (ჭანტურია, 2009:88).

არწივის სიმბოლური სახე გამოკვეთილად მოჩანს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც, თავად ქართული პოეზიის „მთის არწივმა“ დაჭრილი არწივის სახეში წარმოადგინა საქართველო, გალაკტიონმა კი დიდი წინაპრების შესაფერისად ახალი სიმბოლო მოუძებნა ქვეყნის მდგომარეობას. - არწივის ძილში ფეთქს პროტესტის გრძნობა:

„ჩასძინებოდათ არწივებს,
სთვლემდნენ მუხათა ტოტები,
ბნელ ღამეს ააქარცივებს
მკივანი მიკიოტები.
არწივებს ჩასძინებოდათ,
ბედი არ სთვლემდა ცბიერი:
შორით შორს ალი ჩნდებოდა,
ცეცხლი გორავდა ძლიერი.
ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა,
როგორც ძნას შემოდგომისას.
არწივებს ჩასძინებოდათ,
სიზმრებს ხედავდნენ ომისას“.

(ტაბიძე, „არწივებს ჩასძინებოდათ“, 1971:94)

ბრძოლით დაღლილი არწივების ფრთხილ ძილში სამშობლოს სამსახურში ბოლომდე დახარჯულ-დაღლილ მამულიშვილთა მშფოთვარე მთვლემარება იკითხება. ეს, ალბათ, იმგვარი ქართველის ტიპია, ილია რომ შენატროდა, სწორედ იმგვარი, ძილშიც რომ არ ასვენებს მამულზე ფიქრი და გამოფხიზლებული ბედს კი არ დანებდება, არამედ ქვეყნის გადასარჩენად განგაშის ზარებს ჩამოკრავს და ხსნის გზას დაუწყებს ძებნას.

„ცეცხლი, ხავსებით დახალულს,
გზებს ალით შემოამძივებს,
იქ გაჩნდა, სადაც დაღალულს
ჩასძინებოდათ არწივებს.
გამოეღვიძათ არწივებს...
ცეცხლი! - შესძახეს წივილით,
ცეცხლი! - მიდამოც გასწივის,
ცეცხლი! - ტყე ამბობს ტკივილით“.

(ტაბიძე,1971:94)

გალაკტიონი თავისი დიდი წინაპრების მსგავსად ოდნავაც არ ეჭვობს ქვეყნის გამოღვიძებას. არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება ძილთან შერიგება, მისი პოეტური ნათელხილვებისათვის ეს წარმოუდგენელია. საქართველოს ბედზე წუხილისა და დარდის, საქართველოს მდგომარეობაზე ფიქრისა და განსჯის სათუთი ქსოვილიდან წამოიმართება ქვეყნის სული, დიდი წინაპარი თუ დიდი თანამედროვე ჭირისუფალი, რომლის მოუსვენარ ბუნებას არ სძინავს. მარადიული სიფხიზლის თვალი დაატარებს მშობლიურ ქვეყანაში დაბუდებულ სიბნელეზე და ყარაულობს „მძინარე ავადმყოფს“.

„ამ ბნელი ღამით ვიღაც დადის საქართველოში,
ამ ბნელი ღამით ვიღაცა კვნესის,
ვახსენოთ ჩვენ ის უკანასკნელ სადღეგრძელოში,
სადღეგრძელოში ვახსენოთ ჩვენ ის.
ამ ბნელი ღამით სადღაც ისმის ხმა დაირისა.

თვალი მევსება ცრემლების ნამით.

უკვე ცისკარმა შორი მთები დააირისა...

ის კი... კვლავ კვნესის ამ ბნელი ღამით“.

(ტაბიძე, „ამ ბნელი ღამით“, 1971:33).

გალაკტიონის პოეზიაში სხვა ფუნქცია შეიძინა სამშობლოს განცდამ. სამშობლო განიცდებოდა არა ტრადიციულად, როგორც ადამიანის ფიქრისა და სიყვარულის განუყრელი ნაწილი, არამედ მსოფლიოს ცხოვრებასთან აქტიურ მიმართებაში, რადგან ქვეყნის არსებობა მოწმდება ამ დროისთვის უკვე მსოფლიო პროცესებთან მისი კონტაქტის დონით და ხარისხით. ამის ნათელი მაგალითია გალაკტიონ ტაბიძის ვრცელი ლექსი - „კოსმიური ორკესტრი“. ამ ლექსში გამჟღავნებულია პოეტის მიერ კოსმიური მასშტაბების ხილვა. მაგრამ ეს თავისთავად გალაკტიონის დიდი ნიჭის თვისებაა. გალაკტიონის სული არაერთხელ დამდგარა კოსმიური მოვლენების შუაგულში.

„მსოფლიო სხივების და ცეცხლის ღეროთა,

მსოფლიო ღელვებზე და ქარზე მღეროდა,

მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით,

მსოფლიო რღვევანი ხმელეთით რბოდიან,

მსოფლიო ორკესტრი მიწისძვრით, ტახტებით,

მსოფლიო წვიმებით და წარღვნით მოდიან,

მსოფლიო ვულკანის ავარდენ ბოლები,

მსოფლიო მდინარეთ ადიდდენ ტალღები,

მსოფლიო მწვერვალთა დანისლა ზოლები,

მსოფლიო, მსოფლიო, მსოფლიო!“

(ტაბიძე, 1971:5)

პოეტმა იცის, რომ მღელვარე მსოფლიოს არაერთი დამანგრეველი ბრძოლა მოუმწიფებია თავის წიაღში, ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეუწირია მსხვეპლად, ამიტომ გასაგებია გალაკტიონის ავის მოლოდინის გამომხატველი

სტრიქონები, ასე ხშირად რომ მეორდება ლექსში - „მსოფლიო ნგრევათა კვლავ მოწმე გავხდებით“.

„გრგვინვა მთაში, ქარი ზღვაზე და ტალღების რაში,
ელვის თეთრი ნამსხვრევები გაჰკივიან ცაში,
დატრიალდა მაღლა, მაღლა და დაეშვა ქვევით,
ჩამოინგრა ნაპრალები ყრუ და მძიმე რღვევით,
ახმაურადა ხეობებში, არის კლდეთა ფენა,
მესმის მძაფრი ძგერა გულთა და დაყრუვდა სმენა:
მსოფლიო... მსოფლიო... მსოფლიო...“

(ტაბიძე, 1971:5)

მსოფლიოს ამ ახლებულ გააზრებასა და განცდას თავისთავად უკავშირებს პოეტი სამშობლოს ბედს. „გალაკტიონი აყურადებდა საქართველოს ცის გახსნას, რაც მისთვის სიბნელიდან გამოსვლის ტოლფასი იყო. იგი ფეხქვეშ გრძნობდა „საქართველოს სევდიანი მიწის“ ახმაურებას, გამოღვიძებას“(ღვინჯილია, 1980:403). სწორედ საქართველოა პოეტის მთელი შემოქმედების ძირითადი საზრისი:

„არის შემოქმედება სიჩუმე და გრიგალი,
მსოფლიო გზის გედებათ ბედთან შეურიგალი
ურაგანი ბრძოლების და სიკვდილის კვეთება...
საქართველო! აი, რა არის შემოქმედება“.

(ტაბიძე, „კოსმიური ორკესტრი“, 1971:5)

გასაკვირი არ არის, რომ გალაკტიონ ტაბიძის ამდროინდელ ლექსებში ჩვენ ვხვდებით ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა მძაფრ გამოძახილს. მის ცნობილ ლირიკულ ციკლებში არეკლილია 1905 წლის რევოლუციის შორეული ექო, იმპერიალისტური ომის შემაძრწუნებელი სურათები, თებერვლის რევოლუცია და ა. შ.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ძიების კიდევ ერთი მოტივი იყო - გადარჩენის იდეა, რომელზე ფიქრიც არ ასვენებდა ქართველ პოეტს. გადარჩენა! - გადარჩენა „ქვეყნის“, გადარჩენა საუკუნეთა ქარტეხილებში გამოტარებული ღვთაებრივი ცეცხლისა, გადარჩენა ეროვნული სულისა - ასეთია ამ იდეის ეპოქალური

შინაარსი.დგება არჩევანის მკაცრი საათი. ყოყმანი დაუშვებელია. გაისმის პოეტის შთამაგონებელი მოწოდება „განახლება ან სიკვდილი!“

„წამების ცეცხლში განახლდა გული
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე
გზა დამიცალე შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!“

(ტაბიძე, „განახლდა გული“ , 1982:50).

არ უნდა დაგვავიწყდეს ოღონდ, რომ „განახლება“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსიკონში უმტკივნეულეს პროცესს აღნიშნავს, იმ აუცილებელ, გარდაუვალ ტკივილს, რომლის ხარჯზეც არსებობის გაგრძელება, მისი ახლად აღმოცენება, აღორძინება უნდა მოხდეს. საქართველოს რევოლუციური განახლება წარმოადგენდა პოეტის სულიერი აღორძინების სტიმულს:

„ დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია
დასისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..“

(ტაბიძე, „ჩვენპოეტებისაქართველოსი“, 1971:189)

გ. ტაბიძის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „დროშები ჩქარა“, რევოლუციური რომანტიკის უაღრესად პოეტურ, სახეობრივ ფორმაში გამოვლენის ნიმუშია.

„გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა,
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!“

(ტაბიძე, 1971:111).

საქართველოს ბედი პოეტის ფიქრის მამოძრავებელი ხდება. იგი მართავს მის განცდებსა და განწყობილებებს, მის მსოფლმხედველობას, მაშინაც კი, როდესაც ერთი სიტყვითაც არ არის მითითებული თუ მინიშნებული სამშობლოს ხვედრზე. პოეტის

სულის მდგომარეობა სამშობლოს ხვედრით არის განსაზღვრული და დანარჩენი გრძნობა ამ მდგომარეობას არის დაშენებული.

ქართველი პოეტისათვის განსაკუთრებით ცხადი იყო მშვიდობის ფასი. სწორედ მშვიდობის ძალზე არახანგრძლივ პერიოდში შექმნა ქართველმა ერმა სულიერი და მატერიალური კულტურის ის განსაცვიფრებელი ძეგლები, რომელთა ნაშთმა აუხსნელი სასწაულით მოაღწია ჩვენამდე. გალაკტიონ ტაბიძის მიერ ომის შემდეგ დაწერილ ლექსებში განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული ჩვენი ქვეყნის და ხალხისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი შრომის, შენების, შემოქმედების, გარემომცველი სინამდვილის გარდაქმნისა და სრულყოფის მძაფრი წყურვილი.

„კვლავ კიდევ
და კიდევ
ახადე
ბნელს რიდე!
იდიდე მშვიდობავ,
იდიდე!
მთის კიდედ,
ზღვის კიდედ
სახალხო
გმირთ ზრდიდე,
იდიდე,
მშვიდობავ,
იდიდე!“

(ტაბიძე, „იდიდე, მშვიდობავ!“, 1971:181).

გ. ტაბიძის 1945 წლით დათარიღებული ლექსები უდიდესი პატრიოტიზმითაა განმსჭვალული: „მრავალჟამიერ, გუგუნებს ხმა“, „დარჩნენ ქვიშანი“ და სხვ. პოეტის ლექსებში ჩვენ ვხვდებით ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა მძაფრ გამოძახილს.

გალაკტიონს სწამდა თავისი ჩანგის, სწამდა, რომ თუ მის სამშობლოში „იმარჯვებს ძმობა, სიყვარული, მზე, ერთი პირი და მეგობრობა განუყრელი, განუყოფელი“ - იგი ამ გამარჯვების პირველი მესიტყვე იყო.

„სამშობლო მარად მსასოოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი, სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, თანამგზოვარი-
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.
(ტაბიძე, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, 1971:89).

პოეტისათვის ეროვნული სიამაყის ერთ-ერთ საფუძველს მრავალსაუკუნოვანი ქართული ანბანი წარმოადგენს, ამიტომაც უძღვნის მას ჰიმნს:

„შენ, რომელიც
მარდ მზეებრ გვინათ,
არა გუშინ გაჩნდი თვალის ჩინად,
არამედ მზით ამოენთე ბრწყინვად-
ოცდაექვსი საუკუნის წინად...
შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი,
ქვაზე ჭრილი ხარ ჩუქურთმის მსგავსი-
დიდის გზნებით ასე იყავ სავსე
ოცდაექვსი საუკუნის წინად“...
(ტაბიძე, „ჰიმნი ქართულ ანბანს“, 1971:153)

გალაკტიონს სწამდა თავისი ბედნიერი პოეტური ხვედრისა, სწამდა, რომ იგი პირნათელი წარუდგებოდა მარადისობას. მას შეეძლო თავისი თავისთვის უფლება მიეცა, ვალმოხდილი ოლიმპიელის მადლიერებითა და ღირსებით აღსავსე გრძნობით მიემართა საქართველოსთვის, მრავალჟამიერი დიდება და უძლეველობა ესურვებინა მრავალნატანჯი სამშობლოსათვის:

„ მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა
„მუმლი მუხასა“ და „ლილეოსი“.
ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა-
ეს სიმღერაა საქართველოსი!

მოაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური,

გესმის არაგვის ხმა საცნაური?

გესმის თერგის და მტკვარის ხმაური?-

ეს სიმღერაა საქართველოსი.

თავისუფლების მოყვარე ერებს,

ვით ზღვას, ვერარა ვერ შეაჩერებს.

მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს-

ეს სიმღერაა საქართველოსი!

აქ გამარჯვების დროშად სწერია:

სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია!

თუ რამ სიმღერა გულს უმღერია, -

ეს სიმღერაა საქართველოსი!“

(ტაბიძე, „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“, 1971:144).

თავი IV

ისტორიული წარსულის პოეტური ხატება

გ. ტაბიძის ლირიკაში

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული თხზულებები უხვად შეიცავენ საქართველოს ქარტეხილებიანი წარსულის ამსახველ სტრიქონებს. გამომხატველს იმისას, თუ როგორ გადაურჩა „ორ ზღვას შუა“ საომარ ლელოდ ქცეული ქვეყანა აურაცხელ მტერთა შემოსევებს:

„სამი დიდი ოკეანე
გარე უვლის ნათელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი
ზეცა აფრქვევს სიანკარეს.
ორ ზღვას შუა ძველისძველად
საომარი იყო ლელო-
ის გადარჩა და სახელად
ეწოდება საქართველო“.

(ტაბიძე,“მშობლიურო ჩემო მიწავ“, 1971:114-120)

მათში ცხოველი ძალიათაა დახატული მებრძოლი ქართველის გმირული შემართება სამშობლოს დასაცავად:

„ მე მშობლიური არაგვი მირჩევს,
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს,
ომში სიცოცხლე ჩათვალოს არად“.

(ტაბიძე, „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“, 1971:135).

არადა მტერი ყოველთვის მრავლად ყავდა ქართველს. ევროპისა და აზიის გასაყარზე მყოფი ღვთისმშობლის წილხვედრი წალკოტი ათასი ურჯულოს შემოსევის მსხვერპლი გამხდარა:

„ სამშობლოს ჩვენსას ბევრი ომი
გადუტანია,
მრავალ ქარიშხალს გვიხატავდა
ცხოვრება ქართლის,
ის თავდადების და გმირობის
მატიანეა.
ეხმაურება იმ ხმალს ჩვენი
ხმალი სიმართლის!“

(ტაბიძე, „თასი“, 1971:132).

საქართველოს გმირული წარსული, უთვალავ მტერთან მამაცურად გამკლავების უნარი, ბედის უკუღმართობისადმი შეურიგებლობა პოეტში გულწრფელ აღტაცებას იწვევს, ამიტომაც შეჰყვირებს ერთგვარი პათოსით:

„მოდიოდა ერთზე ასი,
გზა გვშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი
ბედთან არდარიდების.
სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვერ დახარა.
ავდგეთ ფეხზე, ჩვენ თბილისი
ვადღეგრძელოთ ჭაღარა!
აქ სიცოცხლე და ხალისი,
ვის სხვად არ ესვენება,
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!“

(ტაბიძე, „სადღეგრძელოიყოსმისი“, 1971:137).

ადამიანის ზნეობრივი არსებობის აუცილებელი პირობა თავისუფლებაა. „ისწავლეთ იყვეთ თავისუფალნი, დაუმორჩილებელნი და ქარიშხლიანნი“ - წერს გალაკტიონი თავის „უბის წიგნაკში“(ტაბიძე, 1992:17). დამონებულ ქვეყანაში არ შეიძლება თავისუფალი ადამიანი ცხოვრობდეს. მაგრამ თუ დამონებული ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობას მონობა ცხოვრების ნორმალურ წესადა აქვს მიჩნეული, თუ ადამიანების გული და გონება პირადი კეთილდღეობის ფარგლებითაა შემოზღუდული - მაშინ ეს ერი ისტორიის მიერ თავისუფლების მოსაპოვებლად მიცემულ ერთადერთ შანსსაც ვერ გამოიყენებს (აბზიანიძე, 1975: 38). ამიტომაც ამბობდა:

„მე ამ მონებში ცხოვრება არ მსურს
არ მსურს, რომ მათში მეც ვითვლებოდე!...“

(ტაბიძე, „სამშობლოო“,1966:207).

სამშობლოს დაცვა ყოველი ქართველის წმინდა ვალია. ასე იყო მაშინაც, როცა სამშობლოს შაჰ-აბასებისა და თემურ-ლენგების ურდოები ემუქრებოდნენ და შემდეგაც, როცა მონაპოვარის შენარჩუნება ხდებოდა საჭირო. სამშობლო განყენებული ცნება როდია. მასთან შეხება, მის მიწასთან სიახლოვე, პირობაა დიდი შინაგანი ბედნიერების და ჰარმონიის:

„რუსთაველიდან ჩვენამდე - რეკს ივერთა ჩანგი.
მასთან უძლური იყო ცეცხლი ასული ცამდე,
ათასი ჩინგის, მაჰმადხანი და თემურლანგი.
ეხლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერიის
მცირეზე მცირე რიცხობრივად, პატარა ერი,
მარად, ყოველმხრივ შემორტყმული უამრავ მტერით,
მაინც გადარჩა, და გადარჩა ის, როგორც ერი“.

(ტაბიძე, “რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?“ 1971:123-128).

პოეტი ფრთხილად შლის საქართველოს მატიანის ამსახველ ისტორიულ ხელნაწერებს და მის თვალწინ ცოცხლდება მეთორმეტე საუკუნის ამსახველი „ბნელი კორიანტელი“:

„აქ მეთორმეტე საუკუნის მძიმე წიგნები,

ყვითელ ქაღალდზე დაღალული ხელით ნაწერი!
ვიცი: მე მათთან მორევიან ნისლში ვიქნები,
როგორც ავდარში შუქი მკრთალი და ალმაცერი.
გაჰქრენ ძვირფასი ანბანები: „ჩვენი ქვეყანა
მშვენი თვინიერ, ჰოი, ზღვათა და ხმელთა ზედა“,
მათში მარტოდენ ჩაქსოვილა მძინარე ნანა
აღმოუთქმელთა მწუხარებათ და სინაზეთა.
სერაფიმის ფრთა, სევდიანი ჩემი სანთელი
ამ ბარათებზე საუკუნო ალად ენთება!
გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი.
ჩუმად ვშლი ფურცლებს. სარკეებში ჩუმად თენდება“.

(ტაბიძე, „უნაზესი ხელნაწერი“, 1971:47)

პოეტისთვის მშობლიური და სათაყვანებელია „სუნთქვა ძველი წიგნებისა“, რომლებიც უძველესი და უმდიდრესი ქართული ენით მოგვითხრობენ „გმირთა ამბავს“:

„ოცდაექვსი საუკუნის
წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,
ხელნაწერნი განვლილ დროის
მოგვითხრობენ გმირთა ამბავს-
სუნთქვა ძველი წიგნებისა,
მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა,
რუსთაველის აღმაფრენა!“

(ტაბიძე,“მშობლიურო ჩემო მიწავ“, 1971:114-120).

აურაცხელ მტერთან ერთად საქართველოს შიდაარეულობა და შუღლიც აყენებდა დიდ ზიანს. ურთიერთგაუტანლობა, თანამდევ სენად ექცა ქართველს:

„ საქართველოში წინად მრავალი,
ისტორიულად არწარმავალი,
ვიდოდა მტრობა, გესლით მავალი

და სისინებდა ქვეწარმავალი.

მისგან სიბნელე არეს ჰფენია,

შეხედეთ: გესლი რაოდენია!

ის ანადგურებს „ვეფხისტყაოსანს“,

რომ რუსთაველის ჩაჰკლას გენია.

ის შხამავს ასე უბრალოდ მზიანს

ვაჟა-ფშაველას დეკას და ღვიას,

ის წიწამურთან ილიას ხვდება

და მზიურ შუბლში უმიზნებს ტყვიას.

ყოველი კარგის წინააღმდეგი,

პირმშვენიერ დღის როს არს დამდეგი-

მშობლიურ მიწას სწყვეტს ბარათაშვილს

და სიგიჟემდე მიჰყავს ყაზბეგი“.

(ტაბიძე, „ისტორიის ახალი გვერდი“, 1971:94).

„გენიოსები ნათელმხილველის ნიჭით არიან დაჯილდოებულნი. მათ შეუძლიათ ამ ნიჭის წყალობით იგრძნონ დროთა კავშირი და ილაპარაკონ მათზე, როგორც რეალურ საგანზე. მათ ხელი მიუწვდებათ სამყაროს იდუმალ კანონებზე“ - შენიშნავს გალაკტიონზე საუბრისას მკვლევარი ჯანსუღ ღვინჯილია. სწორედ ამგვარი შთაბეჭდილება იქმნება პოეზიის მეტრის გენიალური ლექსის „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“ წაკითხვისას: - „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, - ნათელმხილველის თვალით არის დანახული საუკუნეთა სიღრმიდან მომავალი მოვლენის დასასრული. ილიას მოკვლასთან დიდი ეპოქის დასასრულის დაკავშირება არა მარტო სწორ ხედვას მოწმობს პოეტისას, იგი, თითქოს სამყაროს ჩამოფარებული ფარდა გადასწიესო, ერთბაშად დაგვანახებს წარსულს მთელი სიღრმითა და გადაგვიშლის მომავალს (ღვინჯილია, 1980:395). ამის ნათელი დასტურია სწორედ ეს ლექსი:

„წიწამურში რომ მოკლეს ილია,

მაშინ ეპოქა გათავდა დიდი,

ძველი სიმღერა და იდილია,

ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი.

მოჰქონდათ წინათ პასტორალები,

ბაღთა მნათობით გადამთოვრება,

როგორ ოხრავდნენ მასე ქალები,

რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება.

დრო იყო: ომის აუსახველი.

დღეებს იმედი ესაკიდება,

რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი,

რა დიდი იყო მათი დიდება“.

(ტაბიძე, „წიწამურში რომ მოკლეს ილია“,1971 :147).

პოეტური ნათელხილვა ჩვენ ორი სამყაროს მიჯნაზე დაგვაყენებს, სწორედ იქ, იმ ერთადერთ და უზუსტეს წერტილზე, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ძველი - დიდებული ეპოქის დასასრული და ახალი - მოულოდნელობებით სავსე დასაწყისი. -ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი - მარტო ამ ერთი სტრიქონით არის ნაგრძნობი მოვლენათა უსაზღვრო სივრცე, რაც სწორედ მომავლიდან მოეშურება ჩვენკენ, რაც ჩვენში ტრიალებს და წაგვმართავს ხვალ. დამთავრდა კოსმიური სიმშვიდის ეპოქა - ძველი სიმღერა და იდილია. გალაკტიონს გარდასული საუკუნეების მდუღარე ვნებათაღელვიდან ხელთ რჩება დაკრისტალებული სიმშვიდე, „იდილიური სურათი“ და ეს გახლავთ წარსულთან მისი უნიკალური დამოკიდებულების შედეგი. მომავლიდან მან დაინახა ის ფანტასტიური ხიდი, რომელსაც ადამიანი ძველი სიმშვიდის ეპოქებიდან ახალ, ცეცხლოვან, მოგუგუნე, ხმაურისაგან გალეწილ ეპოქაში შეჰყავდა. კაცობრიობის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები ხდებოდა. გალაკტიონის აზრით, ერთ ეპოქად გაერთიანებული ეპოქების მწკრივიც სწორედ მაშინ გათავდა საქართველოსთვის, „წიწამურში რომ მოკლეს ილია“.

გალაკტიონ ტაბიძის ამდროინდელ პატრიოტულ ლირიკაში ცოცხლდებიან წინაპართა გმირული აჩრდილები(„ირაკლი მომგები ასი ომის“, „ მუმლი წყდებოდა“),

რომელთა გაუტეხელი სული მას „ჭირსა შიგან გამაგრების“, მძვინვარე მტრის წინაშე შეუპოვრობის სიმბოლოდ წარმოუდგება:

„ გმირებით სავსე
სამშობლო მხარევ,
დღეს გამარჯვების
გულით მღელვარევ,
იდიდე, ამ ხმას
სხვაში ვერ გარევ:
ეს სიმღერაა
საქართველოსი! „

(ტაბიძე, „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“, 1971:144).

ყოველთვის, როცა კი ქართველ კაცს შეეძლო ხმლის ქარქაშში ჩაგება, იგი შემოქმედის ნამდვილი თავდავიწყებით უვლიდა და აშენებდა თავის ქვეყანას, აგებდა გელათისა და ნიკორწმინდის დიდებულ ტაძრებს, წერდა „ვეფხისტყაოსანს“, საკვირველი სიზუსტით ათანხმებდა ხმებს და ფერებს:

„ ციხე-გალავანს სჩქეფს სისხლის წვეთი,
დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით.
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?
იგი არ ჰკვდება გულდამშვიდებით“.

(ტაბიძე, 1971:48).

სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი ერთგვარი კმაყოფილებით: „ვამაყობ საქართველოთი!“ (ტაბიძე, „მივარდნილი აივანი“, 1971:125).

„პოეტს უყვარს „თბილისის დაღლილ ქარის თარეში, კოშკები ძველად ნაგებ-ნაშენი“ (ტაბიძე, „სანთელი“, 1971:23). ამიტომაც ხატავს სიამაყის შეგრძნებით შემდეგ სურათს:

„მტკვარს დაჰყურებს მაღლით ჯვარის
მონასტერის სიამაყე,
მოვიარე მთა და ბარი,

მაგრამ მსგავსი ვერსად ვნახე.

ხუროთმოძღვარს აქ ჰყავს მცველი

მეომარი და მგოსანი,

და ჩუქურთმა უფრო ძველი,

ვიდრე „ვეფხისტყაოსანი“.

(ტაბიძე,“მშობლიურო ჩემო მიწავ“, 1971:114-120).

ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის აპოლოგიაა გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი უკანასკნელი ლირიკული შედევრი: „ ქებათა- ქება ნიკორწმინდას“. ინტერესს არ არის მოკლებული ამ ლექსის შექმნის ისტორიაც: 1947 წლის ზაფხულში გალაკტიონი რაჭაში ისვენებდა. იქ, შოვში, დამსვენებლებთან გამართულ შეხვედრაზე გალაკტიონმა ისაუბრა ლექსის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ შექმნის შესახებ, მოკლედ უთქვამს: ნიკორწმინდელი დურგალი მაგიდას მიკეთებდა და თან მიყვებოდა ამბებს ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ. მე დავპირდი მას, რომ ამ მაგიდაზე დავწერ რაიმეს ამ ძეგლის შესახებ - მეთქი. ამ დაპირებას შეასხა ხორცი გალაკტიონ ტაბიძემ და შექმნა ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები. ლექსის პირველივე ტაეპები ერთობ საყურადღებოა:

„მაქვს მკერდს მიდებული

ქნარი, როგორც მინდა“.

ეს სიტყვის ჯადოქარი ხელოვანის განაცხადია. ხელოვანისა, რომელმაც იცის საკუთარი თავის ფასი და რომელიც ძეგლის უცნობ, გენიოსს ხუროთმოძღვარს ამცნობს, რომ ღირსი აპოლოგეტი გამოუჩნდა მის ოქროს ნახელავს (გრიგალაშვილი, 2004:348).

საუკუნეებით დაშორებული ორი დიდი შემოქმედის შეხვედრის სიხარულია შემდეგ ტაეპში დახატული:

„ჩემთვის დიდებული

სხივი გამობრწყინდა.

მკვიდრად ააშენა,

ვინაც ააშენა

და ცით დაამშვენა

დიდი ნიკორწმინდა“.

პოეტს არ ავიწყდება შემოქმედი, რომელმაც ქვაში ჩაკირა და საუკუნეებს გაანდო თავისი მღელვარე სული. ასე რომ, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ტაძრის მშვენებით აღტაცებასთან ერთად აპოლოგიაა გენიისა.

„გზნებით დამკარგავი

გრძნეულ ჩუქურთმებით,

ქარგით დამქარგავი

ნაზი ჩუქურთმებით,

ნეტა ვინ აზიდა,

ან როგორ აზიდა,

რა ხელმა აზიდა

მაღლა ნიკორწმინდა!“

ლექსში არის აღფრთოვანებაც:

„რა განძი გვქონია,

რა მხნე, რა მდიდარი,

ჟღერს ქვის ჰარმონია,

დარობს რამდი-დარი.

კარგად გამოკვეთა,

ვინაც გამოჰკვეთა

მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,

სვეტთა შეკონება,

ისე ნაგებია,

სიზმრის გეგონება.

ნეტა ვინ ააგო,

რა ნიჭმა ააგო,

რა მადლმა ააგო,

სვეტი ნიკორწმინდა!“

(ტაბიძე, 1971:45).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს ერთი ამოსუნთქვით ითქვა ეს ლექსი. იგი გულიდან ამოხეთქილ სიმღერას ჰგავს. მისი ბრწყინვალე ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ჰიმნია ქართული ჩუქურთმის, ქართული ხელოვნების მიმართ.

„ნიკორწმინდას“ არქიტექტონიკა და რიტმი ქმნის ცაში ატყორცნილი, მსუბუქი, გუმბათოვანი ეკლესიის ხელშესახებ შთაბეჭდილებას. ლექსის თანდათანობითი გრადაცია გამიზნულია ამაღლების, ცასთან მიახლოების განწყობილების შესაქმნელად.

ქართველი პოეტისათვის განსაკუთრებით ცხადი იყო მშვიდობის ფასი. სწორედ მშვიდობის ძალზე არახანგრძლივ პერიოდში შექმნა ქართველმა ერმა სულიერი და მატერიალური კულტურის ის განსაცვიფრებელი ძეგლები, რომელთა ნაშთმა აუხსნელი სასწაულით მოაღწია ჩვენამდე:

„ციხე-გალავანს სჩქეფს სისხლის წვეთი,
დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით.
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?
იგი არ ჰკვდება გულდამშვიდებით“.

(ტაბიძე, 1971:48).

გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული ჩვენი ქვეყნის და ხალხისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი შრომის, შენების, შემოქმედების, გარემომცველი სინამდვილის გარდაქმნისა და სრულყოფის მძაფრი წყურვილი:

„ სვეტიცხოველში ხვალ იქნება დიდი მცხეთობა,
მაგრამ, შეხედე, სად დამდგარა ძველი დიდება.
ვინ ააშენა იმ სიმაღლეს? რა პოეტობა
შესძლებს გადმოსცეს იმა დღეთა გაბედითება?“

(ტაბიძე, „მცხეთიდან“, 1971:53).

სამამულო ომმა, ქართველთა გმირობამ, არაეთი ლექსი ჩააგონა გ. ტაბიძეს. პოეტი, რომელიც ერთ დროს წერდა: „და მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“, მოუწოდებს ქართველებს გმირულად დაიცვან თავისი მიწა, ხელოვნება, დროშის ფერი, წინაპართა ძვლები, ერთა ძმობა:

„მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ!“

(ტაბიძე, 1971:114).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გ.ტაბიძისთვის ორგანულია სიკეთის უმაღლესი და აბსოლუტური ფორმა - მტრის მიმართ სიბრალული. ეს გრძნობა მოდის მისი სულიერი წყობიდან, მისი ეროვნული ბუნებიდან, დიდი ქართული ფოლკლორიდან, „ვეფხვისა და მოყმის ბალადის“ არსი - უმაღლესი ადამიანური სიკეთე, რომელიც ვრცელდება არამარტო მეორე ადამიანზე, არამედ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზეც - არსია ეროვნული ბუნებისა. ამიტომ გ. ტაბიძე ქართული ხალხური კლასიკური პოეზიის ტრადიციების გამგრძელებელი, ერთ თავის ლექსში წერს:

„მე მაისის ვარდებით ვთვრები,
კარგია თრობა
და მებრალება მე ჩემი მტრები,
არ ვიცი მტრობა“.

(ტაბიძე, 1971:38).

მაგრამ მიუხედავად ასეთი განუსაზღვრელი ჰუმანიზმისა, პოეტმა იცის, რომ არის ხოლმე ისეთი ვითარება, როცა საჭიროა მსხვერპლიც და მტრის მიმართ დაუნდობლობაც.

გალაკტიონის პოეზიაში გამოძახილი პოვა მეორე სამამულო ომმაც. ერთიმეორის მიყოლებით იქმნება გალაკტიონის ომისდროინდელი ლირიკის ღირსშესანიშნავი ნიმუშები: „მამულო, სიცოცხლეო!“(1941), „ჰე, მამულო!“ (1941), „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“(1943). ომმა მილიონობით ადამიანის ცხოვრება არივ-დარია, უთვალავი

ტრაგედია, ცრემლი და სიკვდილი მოიტანა. მაგრამ ამჯერადაც, ისევე როგორც ყოველ კრიზისულ სიტუაციაში, უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ადამიანთა პიროვნული თვისებები.

გალაკტიონი მოწოდებით არ იყო პოეტი-ტრიბუნი, ის პოეტი-თანამოსაუბრე უფრო იყო, ვიდრე მგზნებარე ორატორი. მაგრამ მისთვის სანუკვარი იდეალების ყოფნა-არყოფნის წუთებში „ხმაში ფოლადი ერეოდა“ და ასეთ წამს მისი მონოლოგი მძაფრად და მჭექარედ გაისმოდა:

„ დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა,
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს,
დროშები ჩქარა!
დიდება ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა- მუქარას!“

(ტაბიძე, 1971: 111).

ასე იყო მაშინაც, ერს რომ მოუწოდებდა - „დროშები ჩქარა!“, ასე იყო 1941 წელსაც, როდესაც წრფელი მოქალაქეობრივი და პატრიოტული პათოსით შეპყრობილი მიმართავდა თანამემამულეებს:

„თასს სადღეგრძელოს ხელში ვიღებ
ასსა და ათასს.
დაე, ესმოდეთ, ერთმანეთის
გატანა ვიცით,
შეხედეთ ამ თასს, მეომრებო,
შეხედეთ ამ თასს,
იგი სავსეა არა ღვინით,
არამედ ფიცით“.

(ტაბიძე, 1966: 45).

პოეტმა იცის, რომ ქვეყნის გადარჩენის წინაპირობა სამშობლოს დასაცავად ბრძოლასა და რწმენაშია, ამიტომაც მოუწოდებს ყველას:

„რწმენით იარ, რწმენით იარ!

მტკიცე გქონდეს ბიჯი!
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი!
ასე იყო და ასეა
ბრძოლა ჩვენი მიწის,
რწმენა ბევრად ძვირფასია:
მან გატანა იცის.
არა მონა! ო, პირიქით,
თავისუფალ ამბით
ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი,
საკუთარი შტამპით.
მაგრამ, გრძნობათ სიმაისევ,
ფიქრო ნათელ ფრენის,
თუ მონა ხარ, მონა ისევ-
საკუთარი რწმენის“.

(ტაბიძე, „იდეა“, 1971:86).

გალაკტიონის პატრიოტული პათოსის უმაღლეს გამოვლინებას წარმოადგენს მისი ვრცელი ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელშიც პოეტი ეფერება საქართველოს თითოეულ კუთხეს და რიგითი მამულიშვილის დარად დებს ფიცს სამშობლოს წინაშე და აღუთქვამს მას წინაპართა მონაპოვარის დაცვას:

„ ასწით კავკასიის ფარდა!-
ეს ამერი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იკარ“ და
მისი „მრავალჟამიერი“.
მიყვარს მარად მხნე და ძმური
ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური,
აჭარა და თრიალეთი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის

გზა მიხვეულ-მოხვეული,

იავნანა მეგრელ დედის,

აფხაზური, მოხევური,

ლაზთა რბევა, სისხლის ტბორით

შეღებილი ქართლ-კახეთი!

რაჭა-ლეჩხუმია შორით,

ახლო- მესხეთ-ჯავახეთი...

მშობლიურო ჩემო მიწავ,

შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,

რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას,

შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!“

(ტაბიძე,“მშობლიურო ჩემო მიწავ“, 1971:114-120).

ამრიგად, გალაკტიონის ლირიკულ თხზულებებში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს გმირული წარსულის გამომხატველ ლექსებს.

თავი V

გალაკტიონის პატრიოტული ლირიკა

და ფოლკლორი

საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ხალხის ოცნების, მოლოდინისა და იმედის გამომხატველი, ლამაზი ფანტაზიის შემცველი ხალხური შემოქმედება გალაკტიონტაბიძის მდიდარი და მრავალფეროვანი პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.ამ უნიჭიერესი პოეტის ხალხურ პოეზიასთან კავშირზე რომ ვლაპარაკობთ, მიმბაძველობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ინდივიდუალურ ოსტატობასთან, ამიტომ მართებულად მივიჩნიეთ ამ გენიალური შემოქმედის პოეზიაში თავჩენილი მხატვრული ფორმებისა და სახეების ძიება, ასევე იმ კეთილისმყოფელი ზეგავლენის წარმოჩენა, რომელიც ხალხურმა პოეზიამ დაატყო მის ლექსებს. გალაკტიონის ხალხურ შემოქმედებასთან კავშირის საკითხის დასმისას გვაგონდება მისი ლექსის სტრიქონები:

„კარგია ლექსი, მაშინ როს
ნათელია და ხალხური,
არ მოაკლდება არასდროს
მასის მღელვარე თვალყური“.

(ტაბიძე, 1944:66).

გალაკტიონ ტაბიძეს გულწრფელად უყვარს ხალხური შემოქმედება და იცნობს მის ყველა უბანს. ეს იგრძნობა ყველა პერიოდის ლექსში, სადაც მაღალი ოსტატობით არის გამოყენებული არა მხოლოდ სიუჟეტები, თემები, სტრიქონები, პოეტური ხერხები ხალხური შემოქმედებისა, არამედ ხალხურ ნაწარმოებთა ხასიათი, ტრადიცია და შესრულების წესები.

გალაკტიონტაბიძე ხალხური შემოქმედების შემკრები და მკვლევარი არასდროს ყოფილა, როგორც ილია, აკაკი და ვაჟა იყვნენ. როდესაც გალაკტიონის ხალხურ პოეზიასთან კავშირზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მისი მხოლოდ შემოქმედებითი კავშირი ეროვნული კულტურის საგანძურთან. გალაკტიონმა არაერთი ხალხური ნაწარმოები გააცოცხლა და განაახლა, შთაბერა მას თავისი პოეტური სული და მშობლიურ ხალხს მიაწოდა იდეალურად ღრმა, მაღალმხატვრული, ბრწყინვალე, ორიგინალური ლექსები.

გალაკტიონის მეტად ორიგინალური პოეზია „ნათელია და ხალხური“ იმიტომ, რომ იგი ქართული კლასიკური მწერლობისა და ხალხური შემოქმედების ფესვებზე აღმოცენდა და განვითარდა. მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების გზაზე გალაკტიონ ტაბიძე ყოველთვის ხელმძღვანელობდა საკუთარი ლექსის სტრიქონებში გამოთქმული აზრით:

„ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ
დროის, ეპოქის და სივრცის გარედ“.

(ტაბიძე, 1944:76).

გალაკტიონ ტაბიძის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხი არ გულისხმობს პოეტის ლექსების ხალხურ სიუჟეტებთან, თემებთან, პოეტურ სახეებთან, სტილთან თუ ენასთან მხოლოდ დამთხვევებს. მთავარი ის არის, რომ პოეტმა სწორედ დროის, ეპოქის, ხალხის ფიქრისა და განცდის მიხედვით გადაამუშავა ხალხური სიუჟეტები, თემები, პოეტური სახეები, გამოთქმები თუ სხვა და შექმნა ბრწყინვალე ლექსები, რითაც ორიგინალურად განავითარა ქართული პოეზია. პოეტმა ძველ თქმულებებს, სიმღერებს, ლექსებს მისცა ახალი აზრი, შინაარსი, დაუკავშირა ისინი დროს, ეპოქას, სივრცეს. მას განსაკუთრებით უყვარს ქართული ეპოსის უკვდავი ძეგლი, უძველესი კლასიკური თქმულება ამირანის შესახებ. ამ თქმულებით არის შთაგონებული გ. ტაბიძის რამდენიმე პატრიოტული ლექსი. მის პოეზიაში მრავალსაუკუნოვანი ეპიური გმირი საყვარელი სამშობლოს სახეა. კლასიკური ეპოსის გმირი ხშირად აგონდება პოეტს სამშობლოს ბედისა თუ მშობლიური პეიზაჟის დახატვისას (სიხარულიძე,1956:35). ლექსში „გორიდან“ საქართველოს წარმტაც ბუნებას, კავკასიონის გრანდიოზულობას პოეტი აგვირგვინებს უძველესი მითოლოგიური თქმულებით:

„ ...მაგრამ რა კარგი სანახავი იშლება არეთ-
სულ ახლო არის თეთრი მთები კავკასიონის,
მთები, რომელზეც, ლეგენდების თქმით, რა ხანია,
მუდმივ თოვლი და მიჯაჭვული ამირანია“.

(ტაბიძე, 1944:299).

წარსულში მშრომელი ხალხის ძნელბედობით შექმნილ დაცემულ განწყობილებას, უსამართლობით შეხუთულ სულს პოეტი ღრმად განგვაცდევინებს ლექსში „მე მოვალ“. პოეტი მწარე ხვედრით ედარება კლდეზე მიჯაჭვულს, ყორნების კლანჭებით გულდაფლეთილ გმირს:

„ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,
თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები,
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკვეცავს, ეჰა, ვიტანჯები“.

(ტაბიძე, 1971:29).

ეს არ იყო უიმედო მოთქმა-გოდება პოეტისა, ეს იყო თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგვარი ხერხი.

გალაკტიონმა რამდენიმე ლექსი მიუძღვნა თამარ მეფეს, უძლიერესი ქართული მონარქიის საჭეთმპყრობელს, ეკონომიურად და კულტურულად ძლიერი სახელმწიფოს მეთაურს. პოეტის ეს ლექსები თამარ მეფის ციკლის ხალხური საისტორიო ნაწარმოებების გავლენას განიცდის. მაგალითად, პატრიოტული გრძნობით გამთბარი, გალაკტიონის მშვენიერი ლირიკული ლექსი, - „თამარი ზღვის პირად“, გამოძახილია ვარიანტებად გავრცელებული ხალხური ლექსისა - „თამარ მეფე და ხონთქარი“. პოეტმა ხალხურიდან უცვლელად გამოიყენა ორი სტრიქონი „ზღვაში ჩაუშვა ხომალდი, ზედ ალმასები დაჰკიდა“. მან ხალხური მასალა საკუთარი ქმნილების შინაარსსა და ფორმას მიუსადაგა, ეს ორი ხალხური სტრიქონი შეუნივთა თავის ლექსს და დღევანდელი გადასხედიდან მკითხველს დაანახა თამარის დროინდელი ერთიანი საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის“:

„თამარმა, აღტაცებულმა
მშვენიერ ზღვის ალაგითა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა.
მიცურავს ზღვაში ხომალდი,
რა დიდებული რამ არი!

ზღვის პირად დარუბანდამდე

დგას მშვენიერი თამარი!“

(ტაბიძე, 1977:661).

თამარ მეფის ციკლის ხალხური ლექსითაა შთაგონებული აგრეთვე გალაკტიონის - „აგე იმ ჩრდილქვეშ“:

„აგერ ზღვა მოჩანს,

ზღვა სიცხადის და ოცნებისა,

მშობლიური ზღვა... და ხომალდი

თამარ მეფისა“.

(ტაბიძე, 1977:668).

პატრიოტული ლექს-სიმღერის „მუმლი მუხასაოს“ ჰანგზეა ამღერებული ქართული ლირიკის შედევრი „მუმლი წყდებოდაო“. პოეტმა ლექს-სიმღერა ოსტატურად გადაამუშავა, სტილი, მეტრი თუ რითმა თავის ნაწარმოებს მიუსადაგა და შეიტანა მასში ახალი, თანამედროვეობისათვის აქტუალური ნიუანსები.აი, ეს მშვენიერი ლექსი:

„მაგრამ ურიცხვი

მუმლი წყდებოდა,

მუხა რჩებოდა.

ასე მუხისთვის

ღამე დგებოდა,

დღე თენდებოდა.

ბევრჯერ ვიგრძნობდით

სიკვდილის ბგერას

და ტანჯვის დუღაბს,

მაგრამ სიკვდილი

გვაკლებდა ვერას,

ვით მუმლი მუხას.

მრავალ სიმღერას

მღერის ქართველი,

ეს ხმა კი სხვაა:

იგი მძლავრი და

მარად ძვირფასი

ჩვენი მუხაა“.

(ტაბიძე, 1977:625).

ეპიკური გმირის ოცნებით არის შთაგონებილი პოეტის სწრაფვა ნანატრი თავისუფლებისაკენ ლექსში „ოცნება კლდეზე“. პოეტმა მშობლიურ გრანდიოზულ ბუნებას დაუკავშირა ოცნება მომავალზე, ღრმა განცდა აწმყოსი:

„ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა,

წყნარად აცურდა ნარნარი მთვარე,
ძილს მისცემია მშვიდი მინდორი
და დაფიქრებით სდგას მთა მდუმარე.
როცა ნიავი, მთით მოწყვეტილი,
ტყის მწვანე კალთებს შეეპარება,
მაშინ ირღვევა გამეფებული
მკვდარი სიჩუმე და მდუმარება.
მე მომეჩვენა, ვითომ ოცნებას
თავისუფლების შესხმოდა ფრთები,
მე ეხლაც მახსოვს მისი მშვენება,
მისი ღიმილი, მისი თვალები.
„სად გაჰქრა“-მეთქი, ვკითხავდი ნიავს, -
და შორს გავხედე მთების მწვერვალებს;
იქ, კავკასიის კლდეზე ვამჩნევდი
მოღლილ, მოქანცულთ და მიმკრთალ თვალებს.
ოცნება კლდეზე მიჯაჭვულიყო,
ოცნება სისხლში თრთოდა და კვნესდა,
სქელი ღრუბელი თავს ევლებოდა
და ყორანთ გუნდი მისს ხეულს სწვნდა“.

(ტაბიძე, 1944:126).

ქართული კლასიკური ეპოსის უკვდავი ძეგლი უფრო მაღალი ოსტატობითაა გამოყენებული „მშობლიურ ეფემერაში“. ამ ვირტუოზულ ლექსში მოხდენილად დახატულ გრანდიოზულ მშობლიურ პეიზაჟთან ერთად, ღრმადაა წარმოჩენილი პოეტის პატრიოტული გრძნობები. „მშობლიურ ეფემერაში“ პოეტმა გაასულიერა მშობლიური ბუნება. სწორედ ამიტომ ეს ლექსი განსაკუთრებული მღელვარებით იკითხება:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.

„ამირანია?“ - მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: ამირანია!..

ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,

ის გული ისევ ჩემი გულია...

„დაკარგულია?“ - მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს: დაკარგულია...“

(ტაბიძე,1971:179).

გალაკტიონის ლექსებში ამირანი განთავისუფლებული სამშობლოს სახეა. თავისუფალი სამშობლოს სახეა ამირანი ლექსებში: „ახალი ტფილისის დაფუძნება“, „როგორც მერანი თავს აღწევს ლაგამს “, „მთვარის ნაამბობიდან“, „მთის გულისცემა“. ლექსში „მთვარის ნაამბობიდან “ პოეტი საქართველოს მომხიბვლელი ბუნების სურათს ასე ამთავრებს:

„აგერ მძლავრი და ტიტანი

მოჩანს კავკასიის ტანი,

მიჯაჭული აქ იყო და

აქ აეშვა ამირანი“.

(ტაბიძე, 1971:106).

ლექსი „მთის გულისცემა“ თითქოს მეორე ნაწილია ლექსისა „მშობლიური ეფემერა“. თუ „მშობლიური ეფემერას“ მიხედვით მთისა და ტყის გუგუნი ხალხის კვნესა იყო ძლევამოსილი გმირის ბედით გამოხატული, მეორე ლექსში მთის გულისცემა, მისი გუგუნი გმირის განთავისუფლების - ხალხის გამარჯვების მაუწყებელია. ახალ ლექსში გამოყენებულია ეპიკური თქმულების თითქმის ყველა უძველესი მოტივი - სიმართლისათვის მებრძოლი გმირის კლდეზე მიჯაჭვა, მისი მოწყვეტა ადამიანებისაგან და ჩაკეტვა ბნელს, ყინულიან კლდეში, გმირის გულის უმოწყალოდ ფლეთა ყორნების მიერ, ყოველ ას წელში ავ ფრინველის ცბიერებით თითქმის ამოგლეჯილი პალოს ისევ გამაგრება და სხვა. პოეტი ხაზს უსვამს გმირის უდრეკ ნებისყოფას:

„ გმირმა იცოდა- რა არის ხუნდი

და არ იცოდა- რა არის კვნესა“.

ბოროტების დათრგუნვა და სამშობლოს განთავისუფლება ასეა გამოხატული ლექსში:

„და ერთხელ ფრინველს დაუწყდა ფრთანი,
დააკვდა პალოს, და აი, ბოლოს,
თავისუფალი დგას ამირანი
და აწ ვერავინ ვერ დაიმონოს.
თუ მიაყურებ დუმილს ღამისას
და მახვილ სმენის შეგწევს უნარი,
მოისმენ გულისცემას ამ მთისას,
ის კრთის იდუმალ, მოგუგუნარი“.

(ტაბიძე, 1971:95).

შესანიშნავ ლექსში „ ზევით ასწიეთ მზე, ზევით“ პოეტმა ახალი სული შთაბერა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია დააკისრა. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, მსგავსად ხალხური შემოქმედებისა, მზე აბსოლუტურად მშვენიერი და კეთილი საწყისია. ის აუცილებელი პირობაა ადამიანის არსებობის, სიცოცხლის, ხოლო სიკვდილის შემდეგ მისი უკვდავებისა:

„დღეს ყველგან მზეა და სილამაზე
სიკვდილთან ჩემი შემრიგებლი“.

სახე-სიმბოლოდ ქცეულ მზესთან ყოველთვის დაკავშირებულია სიკეთე და სილამაზე. ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ეპითეტი „ მზე ‘’ მიეწერება ღვთისმშობელს. ღვთისმშობლის ტრადიციული ეპითეტი „წმინდა“ იცვლება „მზით“, რადგან ღვთისმშობელი და მზე მისთვის ერთი და იმავე ცნებების მატარებლნი არიან (სიკეთე და მშვენიერი). პოეტი ასე მიმართავს მფარველ ქალწულს: დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!

ზოგ შემთხვევაში პოეტს გამოყენებული აქვს ხასიათი ან მხოლოდ ერთი მოტივი ხალხური ნაწარმოებისა. ლექსში „თუმც ცოცხალი ვარ“ ძირითადი მოტივი პატრიოტული სიმღერისა „მუმლი მუხასა“ გვაცნობს წარსულში პოეტის ლტოლვას მომავლისაკენ. წარსულში პოეტის განწყობილების ამსახველ ლექსში „იქ პოეტების

ფრიალებს დროშა“ გამოყენებულია მოტივი ზღაპრისა „მებადური და ოქროს თევზი“. ლექსში „არაგვი“ ოცნება უკეთეს მომავალზე არის გამოხატული ხალხური რწმენით:

„ერთხელ შვიდ წელიწადში შენი ცა გაიხსნება,
რასაც მაშინ ისურვებ - ყველაფერი იქნება“.

(ტაბიძე, 1971:133).

გალაკტიონ ტაბიძეს გატაცებით უყვარს ხალხური მუსიკა, ხალხური სიმღერები. ღრმა შინაარსის ლექსში „ქუჩის მომღერალი“ პოეტმა მაღალი შეფასება მისცა ხალხურ პოეზიას, ხალხურ მუსიკას, აღნიშნა მისი უკვდავება. პოეტმა განსაჯა წარსულში მესტვირის - ქუჩის მომღერლის ხვედრი. მოხეტიალე მუსიკოსთა ხელოვნება ეფარებოდა საქართველოს ბედით შეწუხებული პოეტის სევდას. ეს კარგადაა გადმოცემული ლექსში „სარკმლიდან“, რომლის დასაწყისი და დაბოლოებაა სტროფი:

„ სარკმელთან ვდგავარ, მალე, სულ მალე
სევდიან ჰანგებს დავუგდებ მე ყურს.
მოვა მოხუცი ძალმილეული
და ააკვნესებს ჩემს კართან ფანდურს...“

(ტაბიძე, 1971:100).

სიყვარული ხალხური მუსიკისადმი იგრძნობა პატრიოტულ ლექსში „ქალაქისკენ“:

„ჩემო ძვირფასო დედამიწავ, ძვირფასო დედა,
მხოლოდ შვილურმა სიყვარულმა აქ მომახედა.
პირქვე ვემხობი, ვიყრი მუხლებს და ასე ვამბობ:
გმადლობ, დედაო, ყველაფრისთვის უზომოდ გმადლობ.
რომ აშრიალდნენ ჩონგურები, როგორც ტყეები,
მიტოვებული, დავიწყებით სავსე ტყეები;
რო მიჰყავს სიმთა ოქროს ნავებს სიმსუბუქეში
ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ მინდვრის ნუგეში“.

(ტაბიძე, 1971:183)

ხალხურ შემოქმედებას ენათესავება აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული ენა და სტილი. ღრმა შინაარსთან ერთად გალაკტიონ ტაბიძეს უყვარს საუკუნეთა მანძილზე

შემუშავებული ხალხური ჟანრი, პოეტური სახეები, მოტივები, სტილი და ენა. ყველა ამას ახალი აზრით, ახალი შინაარსით მისთვის ჩვეული ოსტატობით იყენებს პოეტი საკუთარ ლექსთა სრულქმნისთვის.

პოეტის ლირიკის არაერთი სალექსო საზომი თუ რიტმულ-მუსიკალური მელოდია ორგანულადაა შესისლხორცებული ხალხური პოეზიის ძირებთან. ეს რომ აშკარად გაცნობიერებული და მიზანსწრაფული მოვლენა იყო, ნათლად დასტურდება იმ ტიპოლოგიური მსგავსებით, გალაკტიონის ლირიკასა და ხალხური პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს შორის რომ შეინიშნება აშკარა სიცხადით. ამ თვალსაზრისის დასტურად, ვახტანგ ჯავახაძის მიერ მიკვლეული საარქივო ჩანაწერებიც გავიხსენოთ, რითაც ზემოთქმული შეხედულება კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობასა და არგუმენტირებულობას იძენს. გავიხსენოთ, მაგალითად, ის მეტრულ-ვერსიფიკაციული პარალელები, თავად პოეტს რომ მოუძებნია საკუთარ ნაწარმოებებსა და ხალხური პოეზიის ნიმუშებს შორის:

„- ჩანგო! ბევრი კარგი დრო! (ნეტავ ახლა სადახარო?!).

- ულევი, უანგარიშო (ყაყაჩო აყვავებულა).

- როგორც ნისლის ნამქერი (ნურავინ მცვლის სხვაზედა).

- აშრიალდა ნეშო ტყეში (მე ვარ სიმონა დოლიძე).

- აქეთ ნუში, იქით ნუში (შორი გზიდან სატრფოს ველი).

- ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის (დანამა, დანამა)

(ჯავახაძე, 1991; 323).

ასევე მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ პოეტს განზრახული ჰქონია თავისი რჩეული ლექსების წიგნში ცალკე ციკლად გამოეყო ხალხური პოეზიით შთაგონებული ნაწარმოებები საერთო სახელწოდებით- „ ფოლკლორისებური“.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, გ. ტაბიძე არ არის შემკრებ-მკვლევარი ხალხური შემოქმედებისა. იგი არც ეთნოგრაფია და არც ფოლკლორისტი. მაგრამ მისი მდიდარი პოეზია შეიცავს ისეთ საყურადღებო ცნობებს ხალხური შემოქმედების ხასიათის, ტრადიციისა და შესრულების წესების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფოლკლორისტიკისათვის, ისე ეთნოგრაფიისა და ისტორიისთვის. ასე

მრავალფეროვანია ჩვენი ბრწყინვალე პოეტის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან, რომელსაც იგი სავსებით დაეუფლა და ბრწყინვალედ გამოიყენა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქართულმა პოეზიამ განვითარების გრძელი და ხანგძლივი გზა განვლო. გზა ტკივილიანი, სამშობლოზე, მის აწმყოსა და მომავალზე მოფიქრალი.ქართული პოეტური გონის მსოფლიოს სულიერ ცხოვრებასთან ურთიერთობის საზომი, და, ალბათ, ქართული სულის გამოვლენის იდეალური შემთხვევაა გალაკტიონ ტაბიძის პოეზია. მხედველობაში გვაქვს გალაკტიონის პოეზიის უნიკალური თვისება - მეოცე საუკუნის გრძნობა! გალაკტიონი თავისი სწორუპოვარი ნიჭით ხედავს იმ უზარმაზარ ცვლილებებს, თავჩენილსა და ფარულს, რაც ხდებოდა კაცობრიობის ცხოვრებაში ან რაც მზადდებოდა მოსახდენად.

ქართული პოეტური სიტყვა გაიშალა ყველა მიმართულებით და შეიძინა ყველა განზომილება ჩვენი დიდი საუკუნის სულიერი ცხოვრებისა. გალაკტიონი გრძნობს თითქოს ყველაფერს. მისი პოეზია არის ნიმუში, თუ როგორ უნდა გაითავისოს ჩვენს საუკუნეში ეროვნულმა პოეზიამ კაცობრიული მოვლენები, გაითავისოს მისი ახალი მიმდინარეობანი, როგორ გადახარშოს ეს ძვირფასი მასალა ახალი პოეტური ერთეულის მისაღებად.

გალაკტიონ ტაბიძემ შემოქმედებითად აითვისა და გაითავისა კლასიკური ქართული პოეზიის უმდიდრესი პოეტური ტრადიციები. მისი ლირიკის სიახლენი მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ ტრადიციათა წიაღში იღებენ სათავეს და სრულიად ახალ პოეტურ თვისებრიობად გარდაისახებიან.

ფორმის საშენი მასალა - სიტყვა გალაკტიონ ტაბიძესთან უმაღლესი ფასეულობაა, ის რთული ესთეტიკური ერთეულია და აზრის გარდა შეიცავს ფერს, მუსიკალურ ჟღერადობას, აქვს ემოციური და ასოციაციური დატვირთვა. ქართველმა ხალხმა სიტყვაკაზმულ მწერლობას განსაკუთრებული მისია დააკისრა. იგი ერის წინამძღოლად აღიარა.

საქართველო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი მართავს მის განცდებსა და განწყობილებებს, მის მსოფლმხედველობას, მაშინაც კი, როდესაც ერთი სიტყვითაც არ არის მითითებული თუ მინიშნებული სამშობლოს ხვედრზე. პოეტის სულის მდგომარეობა სამშობლოს ხვედრით არის განსაზღვრული და დანარჩენი გრძნობა ამ მდგომარეობას არის დაშენებული. გალაკტიონმა იცის, რომ ყველაზე ღირებული, რაც ადამიანს გაჩენის დღიდან ბოძებია უფლისგან - სამშობლოა. სამშობლოს სიყვარული იბარტყებს პირველშობილი განცდიდან. სამშობლოს არამარტო გმირული წარსული და აწმყო, მისი ხელოვნება და ანბანი, არამედ მისი ბუნებაც ხელშესახები და მშვენიერი, რომელიც აერთიანებს მზის ნათელს და ღამის ჩრდილს, აუცილებელი პირობაა ადამიანის ბედნიერებისა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსებში არც თუ იშვიათად ვხვდებით მშობლიური ბუნების მშვენიერებისა და მისდამი პოეტის განსაკუთრებული გრძნობადი დამოკიდებულების ამსახველ სტრიქონებს.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში თავიდანვე იკვეთება ის მაღალი ადამიანური იდეალები, რომლებიც ავტორის დაუოკებელი მიზანსწრაფვის საგნად და უმთავრეს ცხოვრებისეულ ორიენტირებად არიან დასახულნი. ამ იდეალთაგან უპირველეს ადგილს ეროვნული და პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა იჭერს. საქართველოს სამომავლო ბედნიერების უმთავრეს საგნად პოეტს მონობის ბორკილების მსხვრევა მიაჩნდა.

გალაკტიონის პოეზიაში სხვა ფუნქცია შეიძინა სამშობლოს განცდამ. სამშობლო განიცდებოდა არა ტრადიციულად, როგორც ადამიანის ფიქრისა და სიყვარულის განუყრელი ნაწილი, არამედ მსოფლიოს ცხოვრებასთან აქტიურ მიმართებაში, რადგან ქვეყნის არსებობა მოწმდება ამ დროისთვის უკვე მსოფლიო პროცესებთან მისი კონტაქტის დონით და ხარისხით. ამის ნათელი მაგალითია გალაკტიონ ტაბიძის ვრცელი ლექსი - „კოსმიური ორკესტრი“. ამ ლექსში გამჟღავნებულია პოეტის მიერ კოსმიური მასშტაბების ხილვა. მაგრამ ეს თავისთავად გალაკტიონის დიდი ნიჭის თვისებაა.

ქართველი ერის ისტორიული ბედ-იღბლის, მშობლიური სინამდვილის მწუხარე განცდით ეს ლექსი ეხმაურება მე-19 საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლირიკას, მაგრამ მის ინტონაციაში არის ახალი ნიუანსი: არა მხოლოდ „დაკარგვის“ - იმედთა სამუდამო დაღუპვის შეგრძნება, არამედ ამ განცდასთან შინაგანი შერიგებაც და ამის შედეგად აღძრული ტკივილით თავისებური ტკბობის ცდა.

გალაკტიონმა მძინარე საქართველოს მეტაფორული სახე შექმნა „ჩაძინებული არწივების“ სახით. პოეტმა იცის, რომ საქართველოს ძილი ბეჩავი ქვეყნის ძილი არ არის, ქართული სულის თვლემა მონური სულის თვლემა არ არის. საქართველოს ძილი გალაკტიონისთვის არწივის ძილია.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ძიების კიდევ ერთი მოტივი იყო - გადარჩენის იდეა, რომელზე ფიქრიც არ ასვენებდა ქართველ პოეტს. გადარჩენა! - გადარჩენა „ქვეყნის“, გადარჩენა საუკუნეთა ქარტეხილებში გამოტარებული ღვთაებრივი ცეცხლისა, გადარჩენა ეროვნული სულისა - ასეთია ამ იდეის ეპოქალური შინაარსი.დგება არჩევანის მკაცრი საათი. ყოყმანი დაუშვებელია. გაისმის პოეტის შთამაგონებელი მოწოდება „განახლება ან სიკვდილი!“

საქართველოს ბედი პოეტის ფიქრის მამოძრავებელი ხდება. იგი მართავს მის განცდებსა და განწყობილებებს, მის მსოფლმხედველობას, მაშინაც კი, როდესაც ერთი სიტყვითაც არ არის მითითებული თუ მინიშნებული სამშობლოს ხვედრზე. პოეტის სულის მდგომარეობა სამშობლოს ხვედრით არის განსაზღვრული და დანარჩენი გრძნობა ამ მდგომარეობას არის დაშენებული.

ქართველი პოეტისათვის განსაკუთრებით ცხადი იყო მშვიდობის ფასი. სწორედ მშვიდობის ძალზე არახანგრძლივ პერიოდში შექმნა ქართველმა ერმა სულიერი და მატერიალური კულტურის ის განსაცვიფრებელი ძეგლები, რომელთა ნაშთმა აუსნელი სასწაულით მოაღწია ჩვენამდე. გალაკტიონ ტაბიძის მიერ ომის შემდეგ დაწერილ ლექსებში განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული ჩვენი ქვეყნის და ხალხისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი შრომის, შენების, შემოქმედების, გარემომცველი სინამდვილის გარდაქმნისა და სრულყოფის მძაფრი წყურვილი.

გალაკტიონ ტაბიძის ამდროინდელ პატრიოტულ ლირიკაში ცოცხლდებიან წინაპართა გმირული აჩრდილები(„ირაკლი მომგები ასი ომის', „ მუმლი წყდებოდა"), რომელთა გაუტეხელი სული მას „ჭირსა შიგან გამაგრების", მძვინვარე მტრის წინაშე შეუპოვრობის სიმბოლოდ წარმოუდგება.

საქართველოს გმირული წარსული, უთვალავ მტერთან მამაცურად გამკლავების უნარი, ბედის უკუღმართობისადმი შეურიგებლობა პოეტში გულწრფელ აღტაცებას იწვევს.

საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ხალხის ოცნების, მოლოდინისა და იმედის გამომხატველი, ლამაზი ფანტაზიის შემცველი ხალხური შემოქმედება გალაკტიონტაბიძის მდიდარი და მრავალფეროვანი პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.ამ უნიჭიერესი პოეტის ხალხურ პოეზიასთან კავშირზე რომ ვლაპარაკობთ, მიმბაძველობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ინდივიდუალურ ოსტატობასთან. გალაკტიონ ტაბიძის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხი არ გულისხმობს პოეტის ლექსების ხალხურ სიუჟეტებთან, თემებთან, პოეტურ სახეებთან, სტილთან თუ ენასთან მხოლოდ დამთხვევებს. მთავარი ის არის, რომ პოეტმა სწორედ დროის, ეპოქის, ხალხის ფიქრისა და განცდის მიხედვით გადაამუშავა ხალხური სიუჟეტები, თემები, პოეტური სახეები, გამოთქმები თუ სხვა და შექმნა ბრწყინვალე ლექსები, რითაც ორიგინალურად განავითარა ქართული პოეზია. პოეტმა ძველ თქმულებებს, სიმღერებს, ლექსებს მისცა ახალი აზრი, შინაარსი, დაუკავშირა ისინი დროს, ეპოქას, სივრცეს. მას განსაკუთრებით უყვარს ქართული ეპოსის უკვდავი ძეგლი, უძველესი კლასიკური თქმულება ამირანის შესახებ. ამ თქმულებით არის

შთაგონებული გ. ტაბიძის რამდენიმე პატრიოტული ლექსი. მის პოეზიაში მრავალსაუკუნოვანი ეპიური გმირი საყვარელი სამშობლოს სახეა.

გალაკტიონ ტაბიძე დიდი რეფორმატორია თანამედროვე ქართული ლექსისა. განუსაზღვრელი პოეტური თავისუფლება მოიტანა მან პოეზიაში. გალაკტიონ ტაბიძის თავისუფლება არამარტო ლექსიკურ-გრამატიკული კონსტრუქციების შექმნაში მდგომარეობს, არამედ ეს არის, უპირველეს ყოვლისა, აზროვნებისა და ხედვის თავისუფლება, ეს არის ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებზე დამყარებული და ამავე დროს სრულად ახალი რიტმი, რითმა, ზომა, კონსტრუქცია.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქართულმა ლექსმა საოცარი სინატიფე და ჰაეროვნება შეიძინა. ის იყო უტყუარი, აბსოლუტური სმენის პოეტი. მის მუსიკალურ გენიას ყოველივე - გარეშე თუ შინაგანი, ნამდვილად ხილული თუ ოცნების თვალით წარმოდგენილი - პოეტური მელოდიების ენაზე გადაჰქონდა.

„ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს“,- წერდა გალაკტიონი ერთ-ერთ გვიანდელ ლექსში. ქართველი ერის ღრმა და მრავალსახოვანი მხატვრული გენიის გამოხატულებაა გალაკტიონის მთელი შემოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე ზ. ადამიანის კონცეფცია თანამედროვე ქართულ ლირიკაში, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1975
2. ალავიძე მ., ლიტერატურული წერილები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისი 1981
3. ასათიანი გ., გალაკტიონ ტაბიძე, თანამდევი სულები,გამომც. „მერანი“, თბ.1983

4. ბარათაშვილი ნ., ქართველი რომანტიკოსები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1978
5. ბარამიძე ალ., შესავალი წერილი წიგნისა „ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები“, გამომც. „მეცნიერება“, 1975
6. გაბისონია ნ., მიშველაძე რ., ტაბიძე ნ., მოგონებები გალაკტიონზე, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2009
7. გაწერელია ა., რჩეული ნაწერები, ტ.III, თბ., 1981
8. გაწერელია ა., ნარკვევები პორტრეტები ლექსმცოდნეობა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1988
9. გურამიშვილი დ., დავითიანი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, გამოც. „სახელგამი“, თბ. 1955
10. დოიაშვილი თ., პირამიდებზე მაღალი...(„არტისტული ყვავილების“ პროლოგი), XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V, თბ. 2009
11. თვარაძე რ., გალაკტიონი, თბ., 1972
12. კეკელიძე კ., ბარამიძე ალ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987
13. ლებანიძე მ., რჩეული, გამომც. „მერანი“, თბ., 1991
14. ლებანიძე მ., ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ..., გამომც. „განათლება“, თბ., 1991
15. მიშველაძე რ., უახლესი ქართული ლიტარატურის ისტორია, თბ. 1998
16. მურღულია გ., „დავითიანის“ მხატვრულ სახეთა სისტემა, თბ. 1997
17. ნაკუდაშვილი ნ., სიმბოლიზმი, ლიტერატურული მიმდინარეობები, თბ. 1997
18. ნიკოლეიშვილი ა., გალაკტიო ტაბიძე, XX საუკუნის ქართული მწერლობა, გამომც. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2002
19. ნიჟარაძე მ., კიკვიძე ზ. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, ქუთაისი 2007
20. მისივე, ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ქუთაისი 2007
21. ნიშნიანიძე შ., რჩეული, გამომც. „მერანი“, თბ. 1984
22. სიხარულიძე ქ., ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, წიგნი პირველი, გამომც. „სახელგამი“, თბ., 1956

23. სულაკაური ა., „შემოდგომის მზე“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.,1986ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, გამომც. „ლიტერა“, 2004
24. ტაბიძე გ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1966
25. ტაბიძე გ., „ლირიკა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ , 16 დეკემბერი
26. ტაბიძე გ., უბის წიგნაკი, თბ., 1992
27. ტაბიძე გ., რჩეული, თბ., 1944
28. ტაბიძე გ., რჩეული ლირიკა ორ წიგნად, წიგნი I, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971ხოფერია ნ.,
29. ტაბიძე გ., რჩეული ლირიკა ორ წიგნად, წიგნი II, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971
30. ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, გამომც. „ლიტერა“, 2004
31. ღვინჯილია ჯ., პოეტური ენერგია, გამომც. „მერანი“, თბ., 1983
32. შათირიშვილი ზ., გალაკტიონის „მშობლიური“ და „უცხო“ ინტერტექსტები, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტ.V, თბ. 2009
33. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ. 1992
34. წერედიანი დ., „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“, XX საუკუნისქართულილიტერატურა, ტ.V, თბ. 2009
35. წერეთელი აკ., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი I , გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1988
36. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1984
37. ჭანტურია ტ., 2009
38. ხინთიბიძე აკ., ქართული ლექსთმცოდნეობა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1992
39. ხოფერია ნ., გალაკტიონ ტაბიძე, უბის წიგნაკი, თბ., 1992
40. ხუციშვილი ს., ქართველი რომანტიკოსები, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1978

41. ჯავახაძე ვ., უცნობი, გამომც. „ნაკადული“, თბ.1988